პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი № 246 (11857) | პარასკევი, 21 ოქტომბერი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრების ერთგულნი, ჩვენ გაბედულად მივდივართ წინ, — და არ არის მსოფლიოში ისეთი ძალა, რომ შეაჩეროს ხალხთა ეს წინსვლა ნათელი მიზნისაკენ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

მოსკოვის მშრომელთა მიტინგზე 1960 წლის 20 ოქტომბერს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მუშაობის შესახებ

ძვირფასო ამხანაგო მოსკოველებო!

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო, რომლებიც მისხენთ რადიოთი ჩვენი დიდი სამშობლოს სხვა ქალაქებსა და სოფლებში!

მე მსურს გაგიზიაროთ შთაბეჭდილებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობაში ჩვენი მონაწილეობის შესახებ და დამყარებული ტრადიციით წარმოგიდგინოთ იქ შესრულებული მუშაობის ანგარიში.

თუ იკითხავთ — ღირდა თუ არა ნიუ-იორკში გამგზავრება ამ სესიაზე, — შეიძლება სრულიად უშენიშვნოდ თქვათ — არა მარტო ღირდა, არამედ საჭიროც იყო ასეგზავრებულიყავით. ახლა მთელი მსოფლიო აღიარებს, რომ გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა, რომ სესიაზე განხილული ყოფილიყო თანამედროვეობის უაღრესად მადაუდებელი, სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი პრობლემები. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველაზე პასუხისმგებელმა სახელმწიფო მოღვაწეებმა. შეერთებული შტატების მთავრობა და მათი მოკავშირეები შეეცადნენ სახელი გაეტეხათ ამ იდეისათვის, მაგრამ, როგორც იცით, მათ აქედან რაფერი არ გამოუვიდათ.

ჩვენს პოზიციას უაღრესად მხურვალედ დაუჭირეს ბევრი ყველა სოციალისტურ ქვეყანაში, მან ფართო გამოხმაურება და გაგება ჰპოვა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მთავრობათა მხრივ. იზოლაციაში რომ არ აღმოჩენილიყვნენ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, დიდ ბრიტანეთის, კანადის, ავსტრალიის პრემიერ-მინისტრები და ზოგიერთი სხვა მათი მოკავშირე იძულებული გახდნენ, როგორც იტყვიან, გზადაგზა შეეცვალათ თავიანთი პოზიცია და საჩქაროდ წამოსულიყვნენ სესიაზე.

როგორც სამართლიანად აღნიშნავს მსოფლიო საზოგადოებრიობა, გენერალური ასამბლეის XV სესია იყო ყველაზე წარმომადგენლობითი საერთაშორისო შეხვედრა, როგორიც როდისმე ყოფილა თანამედროვე ისტორიაში. იქ ერთმანეთს შეხვდნენ 30-ზე მეტი ქვეყნის სახელმწიფოთა მეთაურები, მთავრობათა მეთაურები და დამყვანი სახელმწიფო მოღვაწეები.

ამ სესიის განსახილველად გამოტანილი იყო ბევრი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემა. საბჭოთა დელეგაციამ წინადადება შეიტანა განეხილათ ისეთი გადაუდებელი საკითხები, როგორიც არის საყოველთაო და სრული განიარაღების, კოლონიალიზმის ლიკვიდაციისა და ყველა ხალხისა და ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების, სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოების სტრუქტურის შეცვლის საჭიროების საკითხები. სესიის დღის წესრიგში შეტანილი იყო აგრეთვე საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენის შესახებ, ალჟირის საკითხი და ბევრი სხვა.

სესიის მუშაობაში სოციალისტური ქვეყნების დელეგაციების მონაწილეობამ, რომლებსაც მეთაურობდნენ ამ ქვეყნების ლიდერები, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბევრი სხვა წევრი ქვეყნის სახელმწიფოთა მეთაურებისა და მთავრობათა მეთაურების მონაწილეობამ მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა.

გენერალური ასამბლეის ვრცელ დარბაზში უდიდესი ყურადღებით და ინტერესით შეხვდნენ თანამედროვეობის ბევრ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეთა გამოსვლებს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს სოციალისტური ბანაკის ქვეყნების დელეგაციების მეთაურთა: ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ამანაგ ანტონინ ნოვოტნის, პოლონეთის დელეგაციის მეთაურის ამხანაგ ვლადისლავ გომულკას, რუმინეთის დელეგაციის მეთაურის ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟის, ბულგარეთის დელეგაციის მეთაურის ამხანაგ ანანოშ კადარის, ბულგარეთის დელეგაციის მეთაურის ამხანაგ ტო

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

ვეკენ ხალხებისა და სახელმწიფოების ჩამოშორებას შეერთებული შტატებისაგან. ეს არსებითი ცვლილებაა. ეს ჯერ კიდევ სავსებით ვერ შეუგნიათ თვითონ ამერიკელებს, შეიძლება ითქვას, ეს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ბევრ ადამიანს მსოფლიოში, მაგრამ ისინი გრძნობენ ამას, თუმცა არ გამოუტანიათ დასკვნები შეცვლილი პირობებიდან. ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატები საერთაშორისო ასპარეზზე ახლა აღარ არის ისეთი დიდი ქვეყანა, როგორიც წინათ იყო, თუმცა კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის იგი ყველაზე ძლიერია ეკონომიურად და სამხედრო მდგომარეობით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნის დროს ჩინეთი დანაწილებული იყო და მას ნაკლებად უწევდნენ ანგარიშს. თუ მონოპოლისტური კაპიტალის ქვეყნებმა შეიყვანეს ჩინეთი უშიშროების საბჭოში, ეს, როგორც ჩანს, იმიტომ ქნეს, რომ მიეჯაჭვათ ჩინეთი კაპიტალისტური სამყაროსათვის, რომ ჩინეთში არ გავრცელებულიყო სოციალისტური, მარქსისტულ-ლენინური იდეები. იმპერიალისტურ სახელმწიფოებს სურდათ შეეინარჩუნებინათ ჩინეთის დიდი კიდელი, რათა ეს კიდელი მონოპოლისტური კაპიტალისათვის ყოფილიყო ბასტიონი, რომელიც გამოჰყოფს სოციალიზმის სამყაროს კაპიტალიზმის სამყაროსაგან.

მაგრამ ჩინელმა ხალხმა თავისებურად განსაჯა, თუ როგორ იცხოვროს. ჩინელმა ხალხმა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავისი განთავისუფლებისათვის გმირული ბრძოლით მოიპოვა დიადი გამარჯვება. ჩინელმა ხალხმა წარმატებით გამოიყენა ხელსაყრელი ვითარება, რომელიც შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა განადგურებული იყვნენ ფაშისტური ძალები ევროპაში, როცა განადგურებული იყო მილიტარისტული იაპონია. შეიქმნა საიმედო ზურგი ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიისათვის. მან გაანადგურა ჩანკაი-შის არმია, რომელიც ამ დროისათვის მთლიანად გადავიდა ამერიკის შეერთებული შტატების მხარეზე, იმპერიალიზმის მხარეზე.

მას შემდეგ, რაც ჩინეთი გახდა სახალხო, ნამდვილად ჩინელთა ჩინეთი და მისი მთავრობა ნამდვილად გამოხატავს ხალხის ნებასა და მისწრაფებებს, მონოპოლისტური, იმპერიალისტური კაპიტალის ქვეყნები არ ცნობენ ჩინეთს. იმპერიალისტები არ ცნობენ ჩინელთა ჩინეთს, ხოლო ჩინეთად ცნობენ ამერიკელთა მიერ ოკუპირებულ ტაივანის კუნძულს. სახალხო ჩინეთი დაშვებულიც კი არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და არ უკავია თავისი კანონიერი ადგილი.

რატომ ხდება ეს? განა ჩინეთი გაქრა? არა, ჩინეთი არის! ჩინეთი არსებობს! მაშ რა მოხდა, იგი ნაკლებად დიდი ქვეყანა გახდა? არა, ჩინეთი ახლა გახდა ნამდვილად დიდი, უფრო მძლავრი სახელმწიფო ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც. ჩინეთს არ ცნობენ იმიტომ, რომ ჩინეთი გახდა სოციალისტური ქვეყანა. სოციალისტური ჩინეთის შექმნით წარმოშობილმა შიშმა გონება დაუკარგა იმპერიალისტებს და ისინი უარყოფენ ჩინელთა ჩინეთის არსებობას.

რას იზამთ, ჩვენთვის ცნობილია მსგავსი სიტუაცია საკუთარი ისტორიის მიხედვით. ძალიან დიდხანს ყველაზე გათავხედებულ იმპერიალისტებს მიაჩნდათ საბჭოთა კავშირი არა დიდ სახელმწიფოდ, არამედ მხოლოდ გეოგრაფიულ ცნებად. ამერიკის შეერთებული შტატები სულ ცოტა თექვსმეტი წლის განმავლობაში არ ცნობდნენ საბჭოთა კავშირს. ასე რომ, ვიმეორებ, ჩვენთვის ცნობილია ასეთი სიტუაცია.

თუმცაღა, უკანასკნელ ხანს ბევრი ბურჟუაზიული სახელმწიფო მოღვაწეც კი ხედავს, რომ უგუნურია ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ჩინეთის მიმართ და გმობს ამ პოლიტიკას, წლითიწლით ამერიკის შეერთებულ შტატებს სულ უფრო უძნელდებათ დაიცვან სახალხო ჩინეთის არცნობის პოლიტიკა, ასამბლეის ყოველ სესიაზე კლებულობს მექანიკური უმრავლესობა, ნიღაბი ეხდება მექანიკური უმრავლესობის პოლიტიკას ჩინეთის მიმართ. როგორც ჩანს, უახლოეს დროში სავსებით დამარცხდება ეს პოლიტიკა. თუ ღმერთმა არ დასაჯა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მოღვაწეები და გონება არ წაართვა მათ, ყველაზე უმჯობესი მათთვის ის იქნება, რომ გამოვიდნენ და მოითხოვონ ჩინეთის უფლებათა აღდგენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ჩანკაი-შის არმია, რომელიც ამ დროისათვის მთლიანად გადავიდა ამერიკის შეერთებული შტატების მხარეზე, იმპერიალიზმის მხარეზე.

მას შემდეგ, რაც ჩინეთი გახდა სახალხო, ნამდვილად ჩინელთა ჩინეთი და მისი მთავრობა ნამდვილად გამოხატავს ხალხის ნებასა და მისწრაფებებს, მონოპოლისტური, იმპერიალისტური კაპიტალის ქვეყნები არ ცნობენ ჩინეთს. იმპერიალისტები არ ცნობენ ჩინელთა ჩინეთს, ხოლო ჩინეთად ცნობენ ამერიკელთა მიერ ოკუპირებულ ტაივანის კუნძულს. სახალხო ჩინეთი დაშვებულიც კი არ არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და არ უკავია თავისი კანონიერი ადგილი.

რატომ ხდება ეს? განა ჩინეთი გაქრა? არა, ჩინეთი არის! ჩინეთი არსებობს! მაშ რა მოხდა, იგი ნაკლებად დიდი ქვეყანა გახდა? არა, ჩინეთი ახლა გახდა ნამდვილად დიდი, უფრო მძლავრი სახელმწიფო ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც. ჩინეთს არ ცნობენ იმიტომ, რომ ჩინეთი გახდა სოციალისტური ქვეყანა. სოციალისტური ჩინეთის შექმნით წარმოშობილმა შიშმა გონება დაუკარგა იმპერიალისტებს და ისინი უარყოფენ ჩინელთა ჩინეთის არსებობას.

რას იზამთ, ჩვენთვის ცნობილია მსგავსი სიტუაცია საკუთარი ისტორიის მიხედვით. ძალიან დიდხანს ყველაზე გათავხედებულ იმპერიალისტებს მიაჩნდათ საბჭოთა კავშირი არა დიდ სახელმწიფოდ, არამედ მხოლოდ გეოგრაფიულ ცნებად. ამერიკის შეერთებული შტატები

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

სუფლება, ძარცვის თავისუფლება, შიმშილით სიკვდილის თავისუფლება ზედმეტი პროდუქტების არსებობის დროს, უმუშევრად ყოფნის თავისუფლება, როცა არსებობს გამოუყენებელი საწარმოო სიმძლავრეები. თავისუფლება ამერიკის შეერთებულ შტატებში არის მონოპოლისტური კაპიტალის თავისუფლება ჩაგრის მშრომელები, გაასულელოს ადამიანები ორ პარტიული სისტემით და თავს მოახვიოს პარტნიორებს სამხედრო ბლოკებში თავისი ნება. ასეთი საზოგადოება ქმნის ნიადაგს ომებისათვის ქვეყნებს შორის, რადგან მონოპოლისტური კაპიტალისათვის, იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელია მისწრაფება რეაქციისადმი ქვეყნის შიგნით, ექსპანსიისა და აგრესიისადმი — მის გარეთ.

მშვიდობის შენარჩუნება იმპერიალიზმის განუყოფელი ბატონობის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გაჩნდა ახალი საზოგადოებრივი სისტემა — სოციალიზმი, რომელიც კაპიტალიზმის შესაცვლელად მოდის, მდგომარეობა შეიცვალა. სოციალისტური წყობილება უფრო პროგრესული წყობილებაა, იგი ადგენს ახალ კანონებს ადამიანთა ურთიერთობაში, ახალ კანონებს ხალხთა და სახელმწიფოთა ურთიერთობაში. დარწმუნებული ვართ, რომ მთელი კაცობრიობა მივა სოციალიზმამდე, კომუნიზმამდე — ისეთ ჰარმონიულ საზოგადოებამდე, რომელშიც არ იქნებიან ანტაგონისტური კლასები და რომელსაც საფუძვლად ექნება ყველაზე ჰუმანური პრინციპი — ადამიანი ადამიანისათვის ძმა და მეგობარია.

მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის გამარჯვების შემდეგ არც ერთ ქვეყანაში აღარ იქნება არც სოციალური, არც ეროვნული, არც რაიმე სხვა მიზეზები ომების წარმოშობისათვის. და ეს იქნება მთელ მსოფლიოში სოციალისტური, კომუნისტური წყობილების სრული ბატონობის დროს, მთელი კაცობრიობა იქნება თანასწორუფლებიან ხალხთა ნამდვილი თანამეგობრობა.

ამის შესახებ დიდ ხანია ნათქვამია, და ეს მეცნიერულად დაამტკიცეს მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლებმა.

კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაცია საზოგადოების განვითარების ძირეული საკითხია. მაგრამ მხოლოდ ავანტიურისტებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა შეიძლება მიღწეულ იქნას სახელმწიფოთა შორის ომების გაჩაღების გზით. სოციალური რევოლუციების ექსპორტი არ ხდება. არ შეიძლება მათი გადატანა არც ხიშტებით, არც რაკეტებით. ისევე როგორც ჩვენ ვერ დავუშვებთ აზრს, რომ ვინმემ თავს მოგვახვიოს ცხოვრების უცხო წესი, სწორედ ასევე ჩვენ არ გვინდა ჩავერიოთ სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში, რადგან მათი ცხოვრების წესი ყოველი ხალხის განუყოფელი უფლებაა. იმ საკითხის გადაჭრა, თუ რა სოციალურ პირობებში იცხოვრონ, დამოკიდებულია თვით ხალხებზე, ყოველი ცალკეული ქვეყნის შინაგან განვითარებასა და პირობების მომწიფებაზე. რა უნდა იყოს ამა თუ იმ ქვეყანაში — სოციალიზმი თუ კაპიტალიზმი — ეს არ არის სახელმწიფოთა ურთიერთობის საკითხები, ეს არ არის აგრეთვე საკითხები ისეთ საერთაშორისო ფორუმში განსახილველად, როგორიც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელშიც წარმოდგენილი არიან სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნები. ეს არის საკითხი, რომელიც უნდა გადაჭრან თვითონ ხალხებმა ყოველი სახელმწიფოს შიგნით.

საჭიროა ანგარიში გაეწიოს კონკრეტულ რეალობას, მსოფლიოს, როგორიც იგი არის. ახლანდელი მსოფლიო არის სოციალიზმის ქვეყნები, კაპიტალიზმის ქვეყნები, რომლებიც შედიან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბლოკებში, აგრეთვე ქვეყნები, რომლებიც არ შედიან რომელიმე სამხედრო ბლოკში და ახორციელებენ ნეიტრალურ პოლიტიკას. მაშასადამე, უნდა ვეძებოთ მთავარი საერთაშორისო პრობლემების ისეთი გადაჭრა, რომელიც გაითვალისწინებს შექმნილ პირობებს, სხვადასხვა სახელმწიფოში ერთმანეთის საწინააღმდეგო სოციალური სისტემების ერთსა და იმავე დროს არსებობას, რათა ასეთ მდგომარეობაშიც შეიქმნას პირობები, რომლებიც გამორიცხავენ ახალი მსოფლიო ომის შესაძლებლობას. ატომური ომი გამოიწვევდა ქალაქების, ფაბრიკების, ქარხნების უმაგალითო ნგრევას. იგი გამოიწვევდა ასობით და ასობით მილიონი ადამიანის დაღუპვას. იგი მოსპობდა მრავალი თაობის შრომით შექმნილ ფასეულობებს და დააზარალებდა ყველა ქვეყანას, ყველა ხალხს. მისი შედეგები მძიმე გავლენას მოახდენდა ადამიანთა მომავალი თაობების სიცოცხლეზე.

ჩვენ დანაშაულს ჩავიდენთ ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე, თუ შევურიგდებით ასეთ არასახარბიელო ხვედრს და არ ვეცდებით თავიდან ავიცილოთ მსოფლიო ომის საფრთხე. ეს მიუტევებელი იქნება იმიტომაც, რომ სოციალიზმმა მუშათა კლასს, მთელ მშრომელ ხალხს თავდაცვის ისეთი ძალები, ისეთი შესაძლებლობანი მისცა, როგორზე ოცნებაც კი არ შეგვეძლო, სანამ სოციალისტური სახელმწიფოები გაჩნდებოდნენ.

აი როგორია ჩვენი პოზიცია ომისა და მშვიდობის საკითხებში.

მიამიტობა იქნება ვიფიქროთ, რომ კაპიტალისტური ქვეყნები განიარაღებაზე დათანხმდებოდნენ, ისინი რომ სოციალიზმზე ძლიერი იყონ. ახლა მდგომარეობა ისეთია, რომ სოციალიზმის მსოფლიო სისტემა ყოველ შემთხვევაში იმ ქვეყნებზე სუსტი მაინც არ არის, რომლებსაც შეერთებული შტატები აერთიანებენ ისეთ სამხედრო აგრესიულ ბლოკებად, როგორიც არიან ნატო, სეატო და სენტო. ახლა სოციალისტურ ქვეყნებს მოეპოვებათ უმაგალითო საშუალებები, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებზე მოახდინონ ზემოქმედება და, თუ გნებავთ, შეთანხმებაც კი დაადებინონ განიარაღების შესახებ.

ხოლო თუ გავითვალისწინებთ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, განიარაღებისა და მშვიდობისათვის სახალხო მოძრაობის ძალებს ყველა ქვეყანაში, აგრეთვე ახლანდელ პირობებში მშვიდობისმოყვარულ განწყობილებას ბურჟუაზიის გარკვეულ ნაწილში, განიარაღების სასარგებლოდ მეტყველებს არა მარტო ის, რომ მოგვეპოვება მატერიალური შესაძლებლობანი, რათა გამანადგურებელი წინააღმდეგობა გავუწიოთ ყოველ თავდასხმას სოციალისტურ ქვეყნებზე, არამედ ისიც, რომ ჩვენს ბრძოლას მშვიდობისათვის და გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის მხარს უჭერენ მთელი მსოფლიოს ხალხები.

აი ამიტომ, როცა საბჭოთა მთავრობა აყენებს წინადადებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, იგი ამასთან ეყრდნობა რეალურ პოლიტიკურ, ეკონომიურ და მორალურ ფაქტორებს. მსოფლიო ომი შეიძლება თავიდან ავიცილოთ, თუ ყველა ხალხი მტკიცედ იბრძოლებს მშვიდობისათვის, იმისათვის, რომ განხორციელდეს საყოველთაო და სრული განიარაღება, მოისპოს ომის წარმოების საშუალებანი უაღრესად მტკიცე საერთაშორისო კონტროლით.

შესაძლებელია თუ არა ყოველივე ეს? შესაძლებელია. არავინ არ უარყოფს, რომ ეს ძნელი საქმეა, მაგრამ ომი, თუ იგი ატყდა, კიდევ უფრო მძიმე იქნება ხალხებისათვის. ამიტომ საკითხი ასე დგას: უკან დავიხიოთ ჩვენ, კომუნისტებმა, ამ სიძნელეების წინაშე და, მაშასადამე, გავყვეთ იმ იმპერიალისტური ძალების ფარვატერს, რომლებიც მოითხოვენ გამალებული შეიარაღების განგრძობას, ხოლო გამალებული შეიარაღება, თუ იგი გაგრძელდა, ომს გამოიწვევს, თუ არ დავიშუროთ ძალღონე და შევქმნათ კაშხალი, გადავუღობოთ გზა მოვლენათა ასეთ დინებას. ჩვენ ფატალიზმის წინააღმდეგი, პასიურობის წინააღმდეგი ვართ ომისა და მშვიდობის საკითხებში. არ უნდა დავამციროთ, ხოლო მით უმეტეს არ უნდა გავაზვიადოთ იმ იმპერიალისტური ძალების შესაძლებლობანი, რომლებიც ომის მომზადების მომხრენი არიან. სანამ იმპერიალისტური სახელმწიფოები არსებობენ, სანამ იქ გაბატონებულია მონოპოლისტური კაპიტალი და მისთვის ჩვეული მისწრაფება აგრესიისადმი, იმპერიალისტური ომებისადმი, ახალი ომის საფრთხეც იარსებებს. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია სწორედ ამ ძალას დავუპირისპიროთ და უნდა დავუპირისპიროთ კიდევ უფრო დიდი ძალა — ხალხების მზადყოფნა თავიდან აიცილონ ომი, მათი სურვილი გადაჭრით აღკვეთონ ყოველგვარი იმპერიალისტური აგრესია.

იმპერიალიზმისათვის დაპირისპირებული ასეთი ძალა არის. ეს ძალაა სოციალისტური ქვეყნები, რომლებიც თავიანთ პოლიტიკაში ხელმძღვანელობენ არა მარტო თავიანთი ქვეყნების ხალხთა, არამედ აგრეთვე ყველა ქვეყნის ხალხთა, ყველა მშრომელ ადამიანთა ინტერესებით. და ეს ძალები მარტო სოციალისტურ ჰუმანიზმს როდი ეყრდნობიან. ისინი ეყრდნობიან თავიანთ სოციალისტურ ეკონომიკას, ჰყავთ თავიანთი მძლავრი შეიარაღებული ძალები, რათა დაიცვან სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფო ინტერესები.

ჩვენი ძალა ის არის, რომ სოციალისტური ქვეყნების ინტერესები თან ემთხვევა ყველა ქვეყნის მშრომელთა, მათ შორის კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა ინტერესებს. კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელები ადგანან მშვიდობისათვის და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლის პოზიციებს. ყოველივე ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ სულ უფრო იზრდება ახალ სახელმწიფოთა რიცხვი, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური უღლისაგან და რომლებიც, როგორც წესი, ადგებიან ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის გზას, ესე იგი მშვიდობიანი პოლიტიკის გზას, რითაც სპობენ იმპერიალიზმს ყოფილ რეზერვებსა და ზურგს. და თუმცა იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობენ თავიანთი მიზნებისათვის გამოიყენონ მთელი რიგი ქვეყნების ნეიტრალისტური ხაზი, ხოლო ნეიტრალისტური ქვეყნები ზოგჯერ მათ კილოზე მღერიან, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა.

ომისა და მშვიდობის საკითხებში არ შეიძლება იყოს ნეიტრალიტეტი, რამდენადაც ყველა ხალხს სურს მშვიდობა, და, მაშასადამე, ყველა ხალხმა უნდა იბრძოლოს მშვიდობისათვის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ. მშვიდობის ძალებისა და ომის ძალების გამიჯვნის პროცესი დაჩქარდება და განვითარდება. ამ პროცესის მეოხებით გაიზრდებიან ძალები, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან.

ნეიტრალური ქვეყნების ხალხების წინაშე დგას ისტორიული არჩევანი. იმპერიალისტური ბანაკი ცდილობს ჩაბას ეს ქვეყნები გამალებულ შეიარაღებაში, გამოიყენოს ამ ქვეყნების ადამიანები და მატერიალური შესაძლებლობანი ომისათვის. იმპერიალიზმი არაფერს არ აძლევს მათ, რომ აღმოფხვრან კოლონიური წარსულისაგან დარჩენილი ეკონომიური ჩამორჩენილობა. იმპერიალიზმი განუწყვეტლივ ცდილობს ჩაერიოს ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში, რათა დაადგას მათ ახალი კოლონიური უღელი.

ხალხთა სოციალისტური თანამეგობრობა ახალგაზრდა სახელმწიფოებს უსახავს სხვა გზას — მონაწილეობა არ მიიღონ გამალებულ შეიარაღებაში, განავითარონ ეკონომიკა და კულტურა, არ დაუშვან ჩარევა თავიანთ საშინაო საქმეებში.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რას აირჩევენ ხალხები? შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ისინი აირჩევენ მშვიდობისა და თავისუფლების გზას, და არა ომისა და ახალი დამონების გზას. ეს არჩევანი კი განუზომლად ზრდის ძალებს, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან.

სოციალიზმისა და მშვიდობის ძალების ზრდასთან დაკავშირებით ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო ასპარეზზე იმპერიალიზმის სასარგებლოდ როდი შეიქმნა.

შეცდომა იქნება, რომ სოციალიზმისა და მშვიდობის ძალების და იმპერიალიზმის ძალების გამიჯვნა და თანაფარდობა ახლა განვსაზღვროთ პარლამენტური შაბლონის გამოყენებით. ძალთა თანაფარდობა, საბოლოო ანგარიშით, როდი განსაზღვრება იმ სახელმწიფოთა რაოდენობით, რომლებიც დგანან ამა თუ იმ მხარეზე — სოციალიზმის მხარეზე თუ იმპერიალიზმის მხარეზე.

ძალთა თანაფარდობის განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ ბევრი ფაქტორი — ეკონომიური და სამხედრო პოტენციალი, მოსახლეობა და მატერიალური და მორალური ხასიათის სხვა ფაქტორები. აქ მარტოოდენ არითმეტიკამ შეიძლება ძალიან მოგვატყუოს.

არითმეტიკული საზომი ნათელ წარმოდგენას არ გვაძლევს, არც მაშინ, როცა ძალთა თანაფარდობას განვსაზღვრავთ სახელმწიფოს შიგნით, სადაც ანტაგონისტური კლასები არიან. ხომ ცნობილია, რომ პარლამენტში ადგილების რაოდენობა როდი განსაზღვრავს ამა თუ იმ კაპიტალისტური ქვეყნის პარტიებისა და კლასების ძალთა ნამდვილ თანაფარდობას.

კონსტიტუციები და საარჩევნო სისტემები ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში შემუშავებულია ისე, რომ უამრავ პრივილეგიას ანიჭებს გაბატონებულ ექსპლოატატორულ კლასებს, და არა ექსპლოატირებულ კლასებს, მშრომელთა კლასებს. ეს შეიძლება დავიხახოთ საფრანგეთის მაგალითით, სადაც კომუნისტურმა პარტიამ პარლამენტის უკანასკნელ არჩევნებში მიიღო 3.888.204 ხმა და 10 ადგილი, ხოლო ისეთმა ძემარჯვენე ბურჟუაზიულმა პარტიამ, როგორიც არის ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირი, — 3.608.958 ხმა და 188 ადგილი. შეადარეთ — ათი და 188 ადგილი. ასეთი, მე ვიტყოდი პარლამენტური, მეთოდი არ კარგა იმისათვის, რომ მეტ-ნაკლებად სწორად განისაზღვროს ძალთა თანაფარდობა ამა თუ იმ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში.

მაშ რაღას ეყრდნობა ხელისუფლება ბურჟუაზიულ ქვეყნებში? რატომ არის, რომ პროლეტარულ პარტიებს, რომლებსაც დიდი მხარდაჭერა აქვთ მასებში, ხშირად არა ჰყავთ პარლამენტში სათანადო რაოდენობით თავიანთი წარმომადგენლები? იმიტომ, რომ ბურჟუაზია იყენებს სხვადასხვა საარჩევნო მაქინაციას, ეყრდნობა ჩახშობის ძალებს — პოლიციას, არმიას, სასამართლოს, კანონმდებლობას, რომლებიც ემსახურებიან მონოპოლისტურ კაპიტალს. ამას ეყრდნობა ბურჟუაზიის ხელისუფლებაც. იგი ეყრდნობა იმას, რომ გაბატონებულ კლასებს აქვთ წარმოების საშუალებანი, იდეური ზემოქმედების საშუალებანი და დემოკრატიისა და რევოლუციური პროგრესული მოძრაობის ჩახშობის საშუალებანი. სწორედ ეს არის მონოპოლისტური კაპიტალის დიქტატურა.

თუ ასეთი პარლამენტური მეთოდებით განვსაზღვრეთ ძალთა თანაფარდობა სოციალიზმის ქვეყნებსა და იმპერიალიზმის ქვეყნებს შორის, ადვილად შეიძლება დაგვაბნიოს ციფრებმა და ვერ მივიღოთ სწორი სურათი. მაშინ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა სოციალისტურმა სახელმწიფომ, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამ წარმოშვა, როცა იგი მსოფლიოში ერთადერთი, სუსტი და მოუფონიერებელი იყო, შეძლო დაეცვა თავისი არსებობის უფლება. ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მაშინ ხომ თოთხმეტი სახელმწიფო გამოდიოდა, ჩვენს ქვეყანას ტანჯავდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, იაპონიისა და სხვა სახელმწიფოთა ჯარები. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფომ დაამარცხა ეს ძალები, განდევნა ისინი.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ლენინის რჩევა: პოლიტიკა არითმეტიკა არ არის. საბჭოთა ქვეყანა მაშინ მარტო თავის შინაგან ძალებს, მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას კი არ ეყრდნობოდა, არამედ ეყრდნობოდა აგრეთვე ბურჟუაზიული ქვეყნების მუშათა კლასისა და საზოგადოების პროგრესული ფენების საერთაშორისო მხარდაჭერას. ასე იყო ჯერ კიდევ 43 წლის წინათ.

ახლა სულ სხვა მდგომარეობაა. საბჭოთა კავშირი უდიდესი ძალა გახდა. ჩვენი ეკონომიკა აყვავდა, ჩვენ გვაქვს მძლავრი და კარგად აღჭურვილი მრეწველობა, რომელსაც შეუძლია საჭირო რაოდენობით აწარმოოს თავდაცვის ყველაზე თანამედროვე საშუალებანი, გვაქვს კარგად გამართული სახელმწიფო აპარატი, გვყავს კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური და მეცნიერთა კადრების დიდი არმია, რომელსაც შეუძლიათ გადაწყვიტონ ყოველი ამოცანა. ჩვენ გვყავს პირველხარისხოვანი თანამედროვე არმია, რაკეტულ-ატომური იარაღით აღჭურვილი. მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დიდი პროგრესი.

გარდა ამისა, ახლა ჩვენ მარტონი როდი ვართ. ევროპასა და აზიაში არის სხვა ქვეყნები, რომლებიც სოციალიზმის გზას დაადგნენ და წარმატებით ვითარდებიან ამ გზაზე. ამ ახალმა სოციალისტურმა ქვეყნებმა უკვე მიაღწიეს უდიდეს წარმატებებს როგორც სახელმწიფო მშენებლობაში, სოციალიზმის მშენებლობაში, ისე თავიანთი შეიარაღებული ძალების მშენებლობაში.

მე უკვე ვთქვი აგრეთვე, რომ იმ ქვეყნების მესამედზე მეტი, რომლებიც ნეიტრალისტურ პოზიციებს დაადგნენ, იმპერიალიზმის ზურგი, ადამიანთა და ნედლეული რესურსების მიმწოდებელი იყო. იმპერიალიზმმა დაკარგა ეს რეზერვები და მათ კოლონიურ წარსულს ვეღარ დაუბრუნებს.

ყველა ეს პირობა უნდა გავითვალისწინოთ ძალთა თანაფარდობის განსაზღვრის დროს და მაშინ აშკარა გახდება, რომ ახლა მშვიდობის მომხრე ძალები ომის მომხრე ძალებზე უფრო სუსტი კი არა, უფრო ძლიერი არიან. ამას ნათლად უნდა ვითვალისწინებდეთ, რათა რეალურად შეგვიფასოთ ჩვენი ძალები, არ შევამციროთ სამშვიდობო პოლიტიკის დაცვის ჩვენი საკუთარი შესაძლებლობანი.

საბჭოთა კავშირი სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოზიციებზე იდგა და დგას. მაგრამ ჩვენ ამ მშვიდობიან თანაარსებობას მოწყალებად როდი ვთხოულობთ. ჩვენ ვიცავთ ასეთ პოლიტიკას მსოფლიოში ამჟამად შექმნილი ძალთა თანაფარდობის საღად გათვალისწინების საფუძველზე.

ყველა ხალხი მიაღწევს სოციალიზმს, კომუნიზმს. ასეთია საზოგადოების განვითარების კანონზომიერება. ზოგიერთებმა შეიძლება თქვან, თუ ჩვენი ძალები ჩვენს მოწინააღმდეგეთა ძალებზე ნაკლები კი არა, მეტიც არის, მაშ რატომ არ უნდა გადავჭრათ დავა ომის გზითო. რატომ არ უნდა დავაჩქაროთ ისტორიის განვითარება. მაგრამ ისტორია ცხენი როდია, მას მათრახით ვერ გარეკავ. მარქსიზმ-ლენინიზმი ყოველთვის იყო აგრესიის წინააღმდეგი, დაპყრობითი იმპერიალისტური ომების წინააღმდეგი.

როცა ბურჟუაზიული პოლიტიკოსები აცხადებენ, მშვიდობიანი თანაარსებობა საბჭოთა კავშირს მხოლოდ დროებით ღონისძიებად ესაჭიროება, რომ ჩვენ, კომუნისტები, მხოლოდ ველოდებით მომენტს, რათა ომი გავაჩაღოთ და მისი საშუალებით შევცვალოთ სხვა სახელმწიფოთა პოლიტიკური და სოციალური წყობილება, ჩვენ ვეუბნებით: თქვენ ტყუით. მარქსიზმ-ლენინიზმი ამტკიცებს, რომ კლასობრივი ბრძოლა ყოველ სახელმწიფოში წყვეტს ძალთა თანაფარდობის საკითხს ამა თუ იმ კლასის სასარგებლოდ, და როცა იზრდება რევოლუციური პროლეტარული ძალები, მაშინ პროლეტარიატი პოლიტიკური ხელისუფლებისა და სოციალური წყობილების არსებობის საკითხს წყვეტს თავისი შეხედულებით, ესე იგი პროლეტარიატის ინტერესებისათვის, რევოლუციური კლასის ინტერესებისათვის, და წყვეტს ამ საკითხს ამა თუ იმ გზით, იმის მიხედვით, თუ რა კონკრეტული პირობები არსებობს და რა მეთოდებს იყენებენ მის წინააღმდეგ ძველი გაბატონებული კლასები.

კანონზომიერებად რომ ვცნოთ ომი სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის შინაგანი პოლიტიკური და სოციალური პრობლემების გადასაჭრელად, ეს მხოლოდ სოციალიზმის მტრებისთვის იქნება ხელსაყრელი. სოციალიზმის მტრები ამას გამოიყენებენ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების წინააღმდეგ, სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. მათ მაშინ შეეძლებათ თქვან: აი ხედავთ, რა პროგრესული წყობილებაა ეს, რა პროგრესული მოძღვრებაა, თუ ამას ძალით ახვევენ თავს ხალხებსო.

სოციალიზმი ძლიერია თავისი სიცოცხლისუნარიანობით, იმით, რომ იგი შეესაბამება ხალხთა მასების უაღრესად სანუკვარ ინტერესებს. ეს დაამტკიცა სოციალისტური, კომუნისტური მშენებლობის თეორიამ.

მასებში რომ გავრცელდეს, ამისათვის სოციალიზმის იდეებს არ ესაჭიროება ძალადობა, — ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელიც მოსწავლეებმაც კი იციან, მაგრამ როძლის შერყვნას ყოველთვის ცდილობენ ჩვენი მოწინააღმდეგეები — კომუნიზმის მტრები.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მაგალითზე უფრო რას ძეუძლია ძოუპოვოს სიმპათიები სოციალიზძს! ყველამ იცის, თუ რა ჩამორჩენილი ქვეყანა იყო ძეფის რუსეთი. ძა ყველა ხედავს, რა მოუიხავე და ძლავრი გახდა ჩვენი ქვეყანა სოციალისტური განვითარების წლებში. ჩაორჩენილი ჩვენი ქვეყანა ძლავრი, დიდად განვითარებული სოციალისტური სახელმწიფო გახდა. სოციალიზმმა ეკონომიკის განვითარების, კულტურის აყვავების, მეცნიერების აყვავების ისეთი პირობები შექმნა, როგორიც წარმოუდგენელია კაპიტალიზძის პიორობებში. ეს ჩვენმა მტრებმაც აღიარეს.

მაგალითის ძალა დიდი ძალაა, რაც უფრო კარგად არის ჩვენი საქმეები, რაც უფრო მაღალია ცხოვრების დონე სოციალიზმის ქვეყნებში, მით უფრო მალე მიემხრობიან ადამიანები სოციალიზმს. ეს კი ისეთი ძალაა, რომელიც არითმეტიკის საშუალებით არ გაიზომება.

ვუბრუნდებით რა საკითხს, თუ ახალი ომის თავიდან აცილების რა შესაძლებლობანი ძოეპოვებათ სოციალისტურ ქვეყნებს, უნდა ვთქვათ, რომ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს წყვეტს არა მშვიდობის მომხრე ქვეყნებისა და იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც შედიან დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ბლოკებში. ცნობილია, რომ კაპიტალისტური ქვეყნები ამჟამად ბევრად მეტია, ვიდრე სოციალისტური. თუ ჩვენ მივიღებთ, რომ საჭიროა არითმეტიკული გამოთვლა, ამან შეიძლება მხოლოდ დაგვაბნიოს პოლიტიკაში.

ძალთა თანაფარდობა ამჟამად საშუალებას გვაძლევს დავაყენოთ განიარაღების პრობლემა და ვცდილობდეთ მივაღწიოთ მის პრაქტიკულ გადაჭრას. სრული და საყოველთაო განიარაღების იდეა ძლავრი იარაღია ხალხების ძობილიზაციისა მშვიდობის შენარჩუნებისათვის და ახალი ომის თავიდან აცილებისათვის საბრძოლველად. აი ამიტომ ყოველი ადამიანისა და ყოველი ხალხის მოვალეობაა დაიცვას ეს იდეა, იბრძოლოს მისთვის, იბრძოლოს მშვიდობისათვის.

თავისი პოზიცია განიარაღების საკითხში საბჭოთა მთავრობამ დეტალურად შეიმუშავა და ჩამოაყალიბა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშე. ეს წინადადებანი ყურილობითი სახით გაეგზავნა ყველა ქვეყანას. ამ წინადადებათა მიზანი, როგორც უკვე ვთქვი ნიუ-იორკში, ის არის, რომ მომზადდეს ხელშეკრულების დადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ განიარაღების უკვე პირველ ეტაპზე ლიკვიდირებულ უნდა იქნას მიზანთან ატომგულის იარაღის მიტანის ყველა საშუალება, სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების, სამხედრო ავიაციის ლიკვიდაციასთან ერთად და სხვ. ჩვენ ვითვალისწინებთ აგრეთვე ატომგულის იარაღის აკრძალვას, მისი წარმოებისა და გამოცდის შეწყვეტას, მთელი მისი მარაგის მოსპობას. მოკლედ, ჩვენ მხარს ვუჭერთ ნამდვილ განიარაღებას საერთაშორისო კონტროლით.

ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა მაკმილანმა ნიუ-იორკში დაახლოებით ასე თქვა, რომ მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ შეიძლება დასჭირდეს 5-10 წელი.

მაგრამ გამალებული შეიარაღება ხომ არ წყდება. დღეს ატომგულის იარაღი აქვს სამ ან ოთხ სახელმწიფოს, ხოლო რა იქნება ხუთი-ათი წლის შემდეგ? ბევრ ქვეყანას ექნება ასეთი იარაღი.

ჩვენ გაჭიანურების წინააღმდეგი ვართ ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხში, როგორიც განიარაღებაა, და არ დავთანხმდებით ხალხების მოტყუებაზე დაუსრულებელი მოლაპარაკების საშუალებით, თუნდაც ასეთი პარტნიორის — ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი მაკმილანი მოგვანდილი, მაგრამ მე სულაც არ მინდა გავიხსენოთ ბნ. ნეჰრუ. ჩვენ ვიფიქრეთ, ეს ბ-ნ ნეჰრუ, როცა „გაჭიანურებაზე — ლაპარაკზე — მოლაპარაკების გაგებით ჭიანური ეროვნული მუსიკალური ინსტრუმენტია, მე კი ამ სიტყვას ვხმარობ დიდმნიშვნელოვანი საკითხების განხილვის დაყოვნების მნიშვნელობით. ჩვენი წინადადებები სავსებით რეალურია, ჩვენ მოვითხოვთ ისეთ მოლაპარაკებას, რომელიც სასარგებლო შედეგს მოგვცემს, და წინაალმდეგი ვართ ისეთი მოლაპარაკებისა, რომელიც მხოლოდ თავს უყრუებს ადამიანებს და ატყუებს ხალხებს.

დასავლეთში ზოგი ვინმე ამბობს, რომ საბჭოთა კავშირმა თავისი წინადადებანი ასამბლეაში შეიტანა პროპაგანდისტული მიზნებით. ჩვენ არ გვაშინებს ასეთი ბრალდებები: ჩვენ ხომ ომისაკენ არ მოვუწოდებთ, ჩვენ მოვითხოვთ პირობებს შექმნას მტკიცე მშვიდობისათვის. ასეთ პროპაგანდას ჩვენ კვლავაც გავწევთ, იგი ზიანს არ აყენებს ხალხებს, მაგრამ თუ დასავლეთის სახელმწიფოებს ეშინიათ პროპაგანდისა მშვიდობის სასარგებლოდ, ჩვენ მზად ვართ უარი ვთქვათ სიტყვებზე.

არის ჩვენი ყოვლისმომცველი წინადადებანი განიარაღების შესახებ. დაე დასავლეთის სახელმწიფოებმა წარმოადგინონ თავიანთი წინადადებანი. მივუსხდეთ მაგიდას და პუნქტობრივ განვიხილოთ საქმიანად, რა არის მისაღები და რა მიუღებელია.

მინდა დავძინო, რომ არ შეიძლება პასუხისმგებლობა მშვიდობის უზრუნველყოფისათვის და, მაშასადამე, განიარაღებისა და იარაღის მოსპობის შესახებ შეთანხმების მიღწევისათვის დაეკისროთ მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებსაც ატომგულის იარაღი აქვთ. ეს სწორი არ არის და საშიშია.

არ არიან ხალხები, რომლებისთვისაც სულ ერთი იყოს განიარაღების პრობლემის გადაჭრა. თუ მრეწველობის მხრივ სუსტად განვითარებული ესა თუ ის ქვეყნები, რომლებსაც არა ჰყავთ საკმაოდ ძლიერი არმიები, თავს აარიდებენ ხელი შეუწყონ განიარაღების პრობლემის გადაჭრას, ამით ისინი კი არ შეასუსტებენ, არამედ გააძლიერებენ იმის საფრთხეს, რომ საკუთარ თავს, თავიანთი ქვეყნების ხალხებს და მთელ მსოფლიოს დაატყდეს უმაგალითო ატომური ომის საშინელი სასჯელი. ყოველმა ხალხმა — დიდმა თუ პატარამ, ყოველმა სახელმწიფომ — ძლიერმა თუ სუსტმა, — ახლა უნდა გამოიჩინოს ისეთივე ინტერესი და ისეთივე შეუპოვრობა ბრძოლაში განიარაღებისა და იარაღის მოსპობის საკითხის გადაჭრისათვის, როგორსაც ისინი იჩენენ ბრძოლაში თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ამ დღეებში კონსერვატიული პარტიის ყრილობაზე გამოვიდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი მაკმილანი. მან კმაყოფილება გამოთქვა, რომ იყო გენერალური ასამბლეაზე, ამ, როგორც მან თქვა, „შესანიშნავ კრებაზე“, რომელსაც ესწრებოდნენ თითქმის 100 სახელმწიფოს წარმომადგენლები“. მან თავის სიტყვაში აღიარა, რომ კაცობრიობა დგას არჩევანის წინაშე — წავიდეს ძალადობის გზით სადავო საკითხების გადაჭრის დროს, თუ მოლაპარაკების გზით. ბ-ნი მაკმილანი მხარს უჭერს მოლაპარაკებას სადავო საკითხებზე დაძაბულობის შენელებისათვის.

საბჭოთა მთავრობა ეთანხმება ასეთ პოზიციას, და ჩვენ არაერთგზის დაგვმტკიცებია, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის ტაქტიკური ფანდი კი არ არის, არამედ გენერალური ხაზია საგარეო საქმეებში, რომელიც დიდმა ლენინმა გვიანდერძა. ჩვენ ვიდექით ამ პოზიციაზე და კვლავაც ვიდგებით!

მაგრამ ბ-ნ მაკმილანის განცხადება დაძაბულობის შენელებისადმი მისწრაფების შესახებ მარტო კეთილ სურვილად რომ არ დარჩეს, საჭიროა კონკრეტული საქმეები დასავლეთის სახელმწიფოთა მხრივ. ბ-ნი მაკმილანი აღიარებს, რომ განიარაღების საკითხში განხილვა „საქმედ არ მიდის“. ეს საგულისხმო აღიარებაა. თუ ინგლისის მთავრობა ნამდვილად იმ აზრს ადგას, რომ მას, როგორც თქვა ბ-ნმა მაკმილანმა, სურს „ერთდროული განიარაღება და კონტროლი, რათა განიარაღება და კონტროლი ყველა ეტაპზე იყოს“, ჩვენ თანახმა ვართ ამაზე.

საბჭოთა მთავრობა მხარს უჭერდა და უჭერს ნამდვილ განიარაღებას და საქმით დაამტკიცა ეს, როცა არაერთგზის განახორციელა თავისი შეიარაღებული ძალების ცალმხრივი შემცირება. თუ განიარაღების ასეთსავე ნამდვილ სურვილს გამოიჩ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

თუ თქვენ, ბატონებო, გინდათ ერთხელ კიდევ გამოსცადოთ სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება და გამძლეობა, ჩვენ გიჩვენებთ, როგორც იტყვიან, ვინცა ვართ. დღეს ჩვენ ძლიერი ვართ, ხვალ კი უფრო ძლიერი ვიქნებით, და ვერ ეღირსებით ისეთ დროს, ბატონებო, როცა ღიმილს მოგგვრით ჩვენი სისუსტე. ჩვენ — საბჭოთა მუშები, გლეხები, ჩვენი მეცნიერები — დღითიდღე, წლითიწლობით მოგცემთ საბაბს დანაღვლინდეთ სოციალიზმის ძალების ზრდისა და განმტკიცების, კომუნიზმის ძალების ზრდის გამო.

ეს მცირე გადახვევაა ჩემი წინასწარ მომზადებული ტექსტიდან, მაგრამ ვფიქრობ იგი არ ავნებს იმათ, ვისაც ახლა არა სურს ყურად იღოს გონების ხმა.

თითქოს თხუთმეტი წელი, რაც მოხმარდა განიარაღების საკითხების, მათ შორის კონტროლის საკითხის განხილვას, საკმარისი არ იყოს.

დასავლეთის სახელმწიფოთა ორივე წინადადება ცხადყოფს, რომ ისინი ჯერ კიდევ არ არიან მზად სერიოზულად მიუდგნენ განიარაღების საკითხების გადაჭრას, რომ ისინი კვლავ იყენებენ მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ, მათ შორის ასამბლეის მიმდინარე სესიის მსვლელობაშიც, გამალებული შეიარაღების პოლიტიკის დასაფარავად. თვითონ განსაჯეთ, როგორ შეიძლება სხვანაირად შევაფასოთ ხსენებული წინადადება განიარაღების პრინციპების შესახებ, თუ მასში სიტყვაც არ არის ნათქვამი სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის შესახებ, სიტყვაც არ არის ნათქვამი იმის შესახებ, თუ როდის, რა ხნის განმავლობაში უნდა განხორციელდეს განიარაღების ესა თუ ის ღონისძიება. არსებითად ეს არის წინადადება, რომელიც ითვალისწინებს კონტროლს განიარაღებისადმი, რასაც მოითხოვდა პრეზიდენტი ეიზენჰაუერი გენერალურ ასამბლეაზე, და არა კონტროლსდაქვემდებარებული განიარაღება, რასაც მოითხოვს საბჭოთა კავშირი.

დასავლეთის სახელმწიფოთა აღნიშნული წინადადებები მომავლის კეთილი მაუწყებელი როდია.

თუ დასავლეთის სახელმწიფოები არ მოისურვებენ დაადგნენ საყოველთაო და სრული განიარაღების გზას, ჩვენ უფლება გვაქვს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ისინი ახლა მზად არ არიან განიარაღებისათვის, მაგრამ არა სურთ ეს აშკარად უთხრან თავიანთ ხალხებს, რადგან დასავლეთის ხალხებს — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის ხალხებს, მსოფლიოს ყველა ხალხს სურს განიარაღება. საბჭოთა კავშირი კვლავაც თანამიმდევრულად და შეუპოვრად იბრძოლებს განიარაღებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის.

ვიმეორებ, ჩვენ მხარს ვუჭერთ ნამდვილ განიარაღებას, და ყველა, ვინც ამის მომხრეა, გამონახავს ჩვენთან საერთო ენას.

ხალხები დიდ იმედს ამყარებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე, სურთ, რომ მან მოაწესრიგოს გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემები და მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, როცა მშვიდობა მთელ მსოფლიოში მტკიცედ იქნება უზრუნველყოფილი.

მაგრამ უნდა ვთქვა, რომ თუ საქმე კვლავაც ისე წავიდა, როგორც ახლა მიდის, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არსებით შედეგებს ვერ მიაღწევს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ურემმა ღერმა ნაკვალევი გაიყვანა, იგი მიდის ამ ნაკვალევით და ძნელი იქნება მისი იქიდან ამოყვანა.

თქვენ რომ გინახათ, როგორ გამოდის და იქცევა ბევრი დელეგატი გენერალურ ასამბლეაზე, მიხვიდოდით დასკვნამდე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეიძლება ვერ გაამართლოს ის იმედები, რასაც მასზე ხალხები ამყარებენ.

დარბაზი ხშირად თითქმის ცარიელია. მთელი რიგი ქვეყნების დელეგაციებისათვის გახკუთვნილ ადგილებზე სხედან „მორიგე“ დელეგატები. ისინი ფაქტიურად არ მონაწილეობენ ასამბლეის მუშაობაში, არამედ სხედან, როგორც ჩანს, მხოლოდ იმისათვის, რომ ხმა მისცენ, თუ იქნება კენჭისყრა. ასეთი „მორიგე“, რომელიც თავისი დელეგაციის წარმომადგენელია, ემსგავსება რობოტს ან ავტომატურ ჩარხს, რომელიც მოქმედებს პროგრამული დავალების თანახმად. მას არ სჭირდება აზროვნება, არ სჭირდება დაძაბვა, მას მოეთხოვება მხოლოდ ერთი რამ — ხმა მისცეს, თქვას „ჰო“ ან „არა“ ამა თუ იმ საკითხზე. სრულიად შეუძლებელია ზეგავლენა მოახდინო ასეთი ადამიანის ფსიქოლოგიაზე, იგი მოქმედებს წინასწარ მიღებულ მითითებათა ზუსტი შესაბამისობით.

ეს ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმ მოწოდების სისწორეში, რომლითაც მივმართეთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურებს. — მთელი სერიოზულობით მოვეკურონ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებს, რომლებიც მსოფლიოს წინაშე დგანან, კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაციის, ჩინეთის კანონიერ უფლებათა აღდგენის, ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების საკითხს და სხვა საკითხებს, ხოლო, რაც მთავარია, ყველაზე დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხს განიარაღების შესახებ, რომლის გადაჭრაზე უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მშვიდობის უზრუნველყოფა მთელ მსოფლიოში.

უდავოა, რომ გენერალური ასამბლეის ერთ სესიაზე ვერ გადაიჭრება ყველა ეს საკითხი. ამიტომ თუ ნამდვილად ვესწრაფვით მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფას, საჭიროა, რომ სახელმწიფოთა მეთაურების ან მთავრობათა მეთაურების მონაწილეობა გადაიქცეს გენერალური ასამბლეის მუშაობის პრაქტიკად.

როგორც უკვე ვთქვი ნიუ-იორკში, განიარაღების პრობლემა, როგორც ჩანს, ვერ გადაიჭრება ასამბლეის ამ სესიაზე. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია საგანგებო სესიის მოწვევა სპეციალურად ამ საკითხზე. ასეთი სესია, ჩვენი აზრით, შეიძლება მოწვეულ იქნას მომავალი წლის მარტ-აპრილში. თუ სახელმწიფოთა ან მთავრობათა მეთაურები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ამ სესიის მუშაობაში, პრინციპულად გადაჭრიან საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხს მტკიცე საერთაშორისო კონტროლით, ამის შემდეგ, ალბათ, საქმირო იქნება დამატებითი მუშაობა უფრო ვიწრო შემადგენლობით. მაგალითად, სახელმწიფოთა ან მთავრობათა მეთაურებს შეუძლიათ მიმართულება მისცენ 15 სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობას, რომლის შექმნაც ჩვენ მოვითხოვეთ.

მაგრამ, ვიმეორებ, განიარაღების პრინციპული ძირითადი საკითხები არ შეიძლება გადაიჭრას მთავრობათა ან სახელმწიფოთა მეთაურების მონაწილეობის მიუღებლად, იმიტომ რომ შეიქმნა ფრიად დიდი უნდობლობა სახელმწიფოთა შორის და მეტად დიდი განსხვავება მთავრობათა მიდგომაში ამ პრობლემის გადაჭრისადმი. უნდა გამოვიჩინოთ საღი და გაბედული მიდგომა, გამოვიჩინოთ სახელმწიფოებრივი სიბრძნე, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ურემი სწორი გზით წავიყვანოთ. ვის შეუძლია ამის გაკეთება? ამის გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვინც აღჭურვილია თავისი ხალხის, თავისი მთავრობის სრული ნდობით.

III.

თავისუფლება და დამოუკიდებლობა კოლონიურ ხალხებს!

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირმა მთელი სიმტკიცით დაიცვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე კოლონიალიზმის — წარსულ საუკუნეთა ბარბაროსობისა და ვეულურობის ამ საზიზღარი მემკვიდრეობის სრული და დაუყოვნებლივი ლიკვიდაციის საკითხი. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ჩაგრულ ხალხთა ბრძოლის მხარდაჭერის პოლიტიკის ერთგულმა საბჭოთა კავშირმა მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას აღიმაღლოს ხმა კოლონიების განთავისუფლების სამართლიანი საქმის დასაცავად.

დეკლარაციას კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ მიესალმა და მოიწონა ბევრმა დელეგაციამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, მან ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა.

კოლონიური სახელმწიფოები და მათი მოკავშირეები აგრესიულ სამხედრო ბლოკებში არ ერიდებიან არავითარ სამუალებას, რათა ხელი შეუშალონ კოლონიების ხალხებს მოიპოვონ დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ამიტომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე განხილვა საკითხისა კოლონიური ქვეყნებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ მწვავე ბრძოლით მიმდინარეობს.

თავისუფლებისმოყვარე ხალხებმა დიდი წარმატება მოიპოვეს. გენერალურმა ასამბლეამ საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული საკითხი კოლონიალიზმის ლიკვიდაციის შესახებ აღიარა უმნიშვნელოვანეს საკითხად, რომელიც შეტანილია ასამბლეის პლენარულ სხდომებზე განსახილველად. ამ საკითხის დიდი მნიშვნელობის აღიარება დიდი მორალური დაკმაყოფილებაა საბჭოთა კავშირისათვის, დიდი გამარჯვებაა კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ძალებისა.

გენერალურ ასამბლეაზე ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ იმპერიალისტური კოლონიური სახელმწიფოებიც კი იძულებული იყვნენ დათანხმებულიყვნენ, რომ ეს საკითხი განხილულ იქნას პლენარულ სხდომებზე. გამოგიტყდებით, რომ ნიუ-იორკში გამგზავრების წინ, როცა ჩვენს მთავრობაში განვიხილავდით გენერალური ასამბლეის სესიის საკითხებს, ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნდა ისეთი შესაძლებლობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ხმას მისცემენ საბჭოთა კავშირთან ერთად ამ საკითხის განხილვას ასამბლეის პლენუმზე.

გენერალური ასამბლეის დღის წესრიგის განხილვის დროს საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ პირველი გამოვიდა ინგლისის წარმომადგენელი. მან სცადა დაემტკიცებინა, თითქოს კოლონიზატორები მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, რომ ხელი შეუწყონ პროგრესს კოლონიებში და მათს განთავისუფლებას. ინგლისის წარმომადგენელმა კინაღამ ზეცაში აღაპყრო ხელები, როცა მოწმედ ასახელებდა ღმერთს, რომელმაც, ასე ვთქვათ, შთაგონა კოლონიზატორებს მათი „ცივილიზატორული“ მისია კოლონიურ ქვეყნებში. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს საქმიანობა გამოიხატებოდა ხალხთა დაკაბალებით, მკვიდრი მოსახლეობის გაჟლეტით.

ძარღვებში სისხლი გეყინება, როცა კითხულობ თუ რა „ცივილიზაცია“ მიიტანეს კოლონიზატორებმა კოლონიებში. ბელგიის ნახევარი საუკუნის ბატონობის მანძილზე კონგოს მოსახლეობა თითქმის ერთიორად შემცირდა — ხალხი იღუპებოდა სადამსჯელო ექსპედიციებისაგან, შიმშილით და ავადმყოფობით. კონგო გამონაკლისი როდია. მადაგასკარის მოსახლეობა საფრანგეთის 60 წლის ბატონობის მანძილზე ერთიორად და მეტად შემცირდა. ბავშვთა სიკვდილიანობა კოლონიებში საშინელ ოდენობას აღწევს. მაგალითად, ნიგერიაში ბავშვების ნახევარზე მეტი იხოცება ექვს წლამდე ასაკისა. კოლონიებში ყველაზე ხანგრძლივი სამუშაო დღეა, ყველაზე მცირე ხელფასია, სიცოცხლის ყველაზე ნაკლები ხანგრძლივობაა, მოსახლეობის ყველაზე დიდი სიკვდილიანობაა.

და ეს ხდება ჩვენს საუკუნეში — პროგრესისა და უდიდეს მეცნიერულ აღმოჩენათა საუკუნეში, როცა ადამიანებმა გახლიჩეს ატომი, წარმატებით იპყრობენ კოსმოსს, არაჩვეულებრივად სწრაფად აფართოებენ თავიანთ ბატონობას ბუნების ძალებზე. ამ დროს იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ პირველობაზე კულტურის განვითარებაში, ტრაბაზობენ თავიანთი „ცივილიზაციით“, ლაპარაკობენ კოლონიზატორთა რაღაც „სიკეთეზე“. უსმენ ასეთ „კეთილისმყოფელებს“ და ფიქრობ, აი ახლა ითხოვენ, რომ ასამბლეამ მადლობა გადაუხადოს მათი „ცივილიზატორული“, ესე იგი კოლონიზატორული მონათმფლობელური პოლიტიკისათვის.

მაგრამ იმ ხალხთა წარმომადგენლებმა, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური მონობისაგან, სხვა თქვეს. გენერალური ასამბლეის სესიაზე გამოვიდნენ ინდოეთის, ინდონეზიის. განის, გვინეის, ცეილონის, ლიბერიის, მაროკოს, ნიგერიისა და ბევრი სხვა ქვეყნის წარმომადგენლები და ერთსულოვნად მოითხოვეს ამ საკითხის განხილვა ასამბლეის პლენარულ სხდომებზე, მოითხოვეს, რომ საჭიროა მოისპოს კოლონიური სისტემა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები ისხდნენ და დუმდნენ, თითქოს იქ არ იყვნენ. მაგრამ სულ დუმილი შეუძლებელი იყო — საჭირო იყო ან ხმის მიცემა საბჭოთა კავშირის წინადადებისათვის იმის შესახებ, რომ ეს საკითხი განეხილა გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომას, ან გამოსვლა თავიანთი მოკავშირეების — კოლონიზატორების მხარდასაჭერად. რა თქმა უნდა, შეერთებული შტატების იმპერიალისტები თვითონაც ფაქტიურად კოლონიზატორები არიან, თავს ახვევენ კაბალურ ხელშეკრულებებს, ექსპლოატაციას უწევენ ბევრი ქვეყნის ხალხებს. ეს პოლიტიკა კარგად ცნობილია ლათინური ამერიკის ხალხებისა და სხვა ქვეყნების ხალხებისათვის.

როცა ცხარე კამათი გაჩაღდა ამ საკითხის გამო და თითქმის ყველა ორატორმა მხარი დაუჭირა საბჭოთა წინადადებას, ბოლოს, სიტყვა აიღო ამერიკის წარმომადგენელმა. ძალიან ვწუხვარ, რომ მან ვერ დაამთავრა თავისი სიტყვა. შეერთებული შტატების წარმომადგენელმა დაუშვა ცილისმწამებლური გამოხდომები სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ, რამაც ამ სახელმწიფოთა წარმომადგენლების მკაცრი პროტესტი გამოიწვია. ტრიბუნაზე ავიდა რუმინეთის წარმომადგენელი ამხანაგი მეზინჩესკუ და საკადრისი პასუხი გასცა ამერიკელს. მან მოითხოვა, რომ ასამბლეის თავმჯდომარე ბოლენდმა არ დაუშვას შეურაცხყოფა. და აქ მოხდა საკმაოდ კურიოზული სცენა. თავმჯდომარემ მეტისმეტი გულმოდგინეობა გამოიჩინა, ვერ გაითვალისწინა, რომ მისმა მთავარმა ინსტრუმენტმა — ჩაქუჩმა შეიძლება უმტყუნოს, და ისე დასცხო მაგიდაზე, რომ ჩაქუჩი დაიმსხვრა. მას შემდეგ, რაც თავმჯდომარემ დაკარგა ძალაუფლების სიმბოლო, რაც ჩაქუჩით გამოიხატებოდა, მან საჩქაროდ დახურა სხდომა.

შეიძლება სინანული გამოვთქვათ, რომ სხდომა დაიხურა. ვფიქრობ, რომ შეერთებული შტატების წარმომადგენელი სიტყვას დაამთავრებდა კოლონიური სახელმწიფოების მხარდაჭერით. მაგრამ გავიდა ღამე, გავიდა, როგორც ჩანს, ფიქრში. რის შედეგად ამერიკელები მივიდნენ დასკვნამდე, რომ უნდა აირჩიონ ნაკლები ბოროტება, ცხადი გახდა, რომ ინგლისელი, ესპანელი, პორტუგალიელი, ფრანგი კოლონიზატორების პირდაპირი აშკარა მხარდაჭერა ამხილებდა თვითონ მათ. ამიტომ ამერიკელებმა გადაწყვიტეს ეთამაშათ კეთილშობილება, მხარი დაეჭირათ საბჭოთა კავშირისა და იმ ქვეყნების წინადადებისათვის, რომლებიც იბრძვიან კოლონიური სისტემის წინააღმდეგ. ინგლისის წარმომადგენელი, რომელიც მეორედ გამოვიდა, აგრეთვე იძულებული იყო თავი ისე მოეჩვენებინა, რომ იგი ეთანხმება იმათ, ვინც მოითხოვს ამ საკითხის განხილვას პლენარულ სხდომაზე.

ერთსულოვანი გადაწყვეტილება გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომებზე ამ საკითხის განხილვის შესახებ იმ ძალების დიდი გამარჯვებაა, რომლებიც იბრძვიან კოლონიური რეჟიმის ლიკვიდაციისათვის.

მაგრამ მინდა გავაფრთხილო — გულუბრყვილო იქნებიან ის ადამიანები, რომლებიც იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ხმის მიცემას ხალას სამართლედ მიიჩნევენ. შეიძლება ითქვას, რომ ერთსულოვანი ხმის მიცემა კოლონიზატორებს გამოვგლიჯეთ დიდი უმრავლესობის შეტევით. იმპერიალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს ხმა მიეცათ იმისათვის, რომ ეს საკითხი განხილულ იქნას პლენარულ სხდომებზე. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის არსებითი გადაწყვეტილება. არსებითად კოლონიზატორებთან ერთიანობა ამ საკითხში არ ყოფილა, არ არის და არ იქნება.

ჩვენ მხარს ვუჭერთ სამარცხვინო კოლონიური სისტემის სრულ და დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას, კოლონიალიზმის დაგმობას წარსულში და აწმყოში, იმას, რომ კოლონიური წესები არსად აღარ გამოჩნდეს მომავალში რაიმე სახით.

იმპერიალისტები ცდილობენ „გააკეთილშობილონ“ კოლონიზატორული პოლიტიკა. მათ სურთ კიდევაც ილაპარაკონ კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის შესახებ. მაგრამ რა „დახმარებაა“ ეს? ავიღოთ, მაგალითად, შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლა გენერალური ასამბლეის სესიაზე. მასში არ ყოფილა რაიმე კონსტრუქციული წინადადება. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები მზად არიან შეიტანონ თავიანთი წვლილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პროგრამაში 100 მილიონი დოლარის ოდენობით აფრიკის იმ ქვეყნებისათვის დახმარების გასაწევად, რომლებმაც დამოუკიდებლობა მიიღეს. მაგრამ თუ ავიღებთ ამ თანხას და გავყოფთ აფრიკის იმ ქვეყნების მთელ მოსახლეობაზე, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს, გამოდის 55 ცენტი თითო კაცზე. როგორც იტყვიან, ამ ფულით ვერ იქეიფებ, ამ ფულით ამერიკაში ორ კოლოფ სიგარეტსაც ვერ იყიდი.

იმპერიალისტები ძარცვავდნენ და კვლავაც სურთ ძარცვონ აფრიკის ქვეყნები, ახლა კი მოწყალებას აძლევენ. დოლარი წაიღო, ხოლო ცენტი მისცა. აძლევენ მოწყალებას, როგორც კულაკი საშობაოდ შაურს აძლევდა თავის მოჯამაგირეს, რომელსაც ულმობელ ექსპლოატაციას უწევდა მთელ წელიწადს; ან როგორც ზოგჯერ კაპიტალისტი ერთ ვედრო არაყს დადგამდა მთელი არტელისათვის.

იმპერიალისტები სიტყვით, შესაძლოა, გამოვლენ იმის სასარგებლოდ, რომ საჭიროა კოლონიური ხალხების განთავისუფლება, მაგრამ უმალ ისინი წამოაყენებენ ისეთ გეგმას, რომ მრავალი წლით გაჭიმონ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიცემა კოლონიური ქვეყნების ხალხებისათვის. ისინი ამოეფარებიან იმას, რომ თითქოს შექმნილი არ არის კადრები, აღზრდილი არ არის ხალხი, მომზადებული არ არის თვითმმართველობისათვის და მონათმოვაჭრეთა სხვა „თეორიებს“. შეხედეთ, რა კარგად უპასუხა კოლონიზატორთა ამ მონაჭორებს აფრიკის ერთ-ერთი ახალგაზრდა სახელმწიფოს წარმომადგენელმა. მან თქვა:

— გინდათ დარწმუნდეთ, რომ ადამიანს შეუძლია საარული, დაამსხვრიეთ ბორკილები, რომლებიც მას ბოჭავენ.

ყველა ხალხმა, რომელიც ნამდვილად დგას კოლონიალიზმის დაგმობის, კოლონიური ხალხების განთავისუფლების პოზიციებზე, გადაჭრით უნდა იბრძოლოს კოლონიური მონობის სრული და დაუყოვნებლივი შეწყვეტისათვის. უნდა აღვიმაღლოთ ხმა კოლონიზატორთა წინააღმდეგ, ვამხილოთ მათი ხრიკები, როგორც უნდა ინიღბებოდნენ ისინი.

რადგან კოლონიზატორები ეწინააღმდეგებიან კოლონიური ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას, ბუნებრივია, რომ ჩაგრული ხალხები აძლიერებენ ბრძოლას თავიანთი განთავისუფლებისათვის. და ისინი მოიპოვებენ თავისუფლებას! ეჭვი არ არის, რომ თავისუფლებისმოყვარე ხალხები დახმარების ხელს გაუწვდიან იმათ, ვინც იბრძვის კოლონიზატორთა — ხალხების თავისუფლების ჩამხშობთა წინააღმდეგ. ვერაფერი ვერ გადაარჩენს ისტორიის მიერ განწირულ კოლონიურ რეჟიმს. უკვე რეკს კოლონიალიზმის უკანასკნელი საათი, კოლონიების ხალხები თავისუფალი იქნებიან!

ამხანაგებო! კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის პრობლემის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ალჟირის საკითხი, რომელიც გენერალურ ასამბლეაზე განხილულ იქნება როგორც დღის წესრიგის ცალკე საკითხი.

ექვს წელზე მეტია ალჟირელი ხალხი გმირულ ომს აწარმოებს თავისი განთავისუფლებისათვის უცხოელთა უღლისაგან. ფრანგი კოლონიზატორები ცდილობენ ცეცხლითა და ბასრი ლითონ ჩაახშონ ალჟირელთა მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი. მაგრამ ისინი ვერ გატეხენ და ვერც გატეხეს ხალხის ნება, რომელიც აღსდგა თავისუფლებისათვის საბრძოლველად. ალჟირელი ხალხის შვილთა კეთილშობილური ბრძოლა სულ უფრო მეტ საერთაშორისო აღიარებასა და მხარდაჭერას პოულობს. თვითონ საფრანგეთში ფართოვდება ჭეშმარიტ ფრანგ პატრიოტთა მოძრაობა, რომლებიც აქტიურად ილაშქრებენ ალჟირში კოლონიური ომის წინააღმდეგ.

ალჟირის საკითხი ბევრჯერ განხილულა გენერალური ასამბლეის სესიებზე, მაგრამ ყოველთვის კოლონიზატორები ახერხებდნენ განხილვა დაემთავრებინათ მცირე მნიშვნელოვანი რეზოლუციებით, რომლებიც რეალურ დახმარებას ვერ უწევდა ალჟირელ ხალხს. ფრანგი კოლონიზატორები თავიანთი მოკავშირეების მხარდაჭერით, პირველ რიგში შეერთებული შტატებისა და ინგლისის მხარდაჭერით თითქოს გამარჯვებული გამოდიოდნენ ამ საკითხის განხილვის დროს. ამჯერად ბრძოლა გენერალურ ასამბლეაზე გაცილებით უფრო მწვავე იქნება და კოლონიზატორებისათვის უფრო ძნელი იქნება საქმე დაამთავრონ რაიმე ახალი უკბილო რეზოლუციით.

როგორია საბჭოთა კავშირის პოზიცია ალჟირის საკითხში? იგი სავსებით ნათელია. ჩვენ მუდამ ვუჭერდით მხარს ყველა ხალხის თვითგამორკვევას, იმას, რომ ყოველი ხალხი თვითონ განსაზღვრავდეს თავისი სახელმწიფოს სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურას. ეს მთლიანად და სავსებით შეეხება ალჟირს.

ჩვენ არაერთგზის გამოგვითქვამს ჩვენი შეხედულებანი ამ საკითხზე საფრანგეთის წარმომადგენლებისათვის. მაგონდება საუბრები საფრანგეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრ გი მოლესთან და საგარეო საქმეთა მინისტრ პინოსთან საბჭოთა კავშირში მათი ყოფნის დროს 1956 წლის მაისში. ჩვენ მაშინ ვუთხარით ფრანგ მოღვაწეებს — თუ თქვენ არ გაითვალისწინებთ ვიეტნამში მიღებულ გაკვეთილებს, უდავოდ ვერ გამონახავთ გამოსავალს ჩიხიდან, რომელშიც მოემწყვდიეთ ალჟირში. თქვენთვის ერთადერთი გამოსავალია ცნოთ ალჟირელი ხალხის თვითგამორკვევის უფლება. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება გადაიჭრას ალჟირის საკითხი.

გი მოლე, აგრეთვე პინო ამტკიცებდნენ, საფრანგეთი ვერ იტყვის უარს ალჟირზე, იმიტომ რომ იქ ორი მილიონი ფრანგი ცხოვრობსო. მაშასადამე, მათი ლოგიკით, ეს უკვე საკმარისია იმისათვის, რომ მიიჩნიონ, თითქოს ალჟირი საფრანგეთისა უნდა იყოს. ჩვენ ვუპასუხებთ საფრანგეთის მთავრობის მაშინდელ ხელმძღვანელებს — თქვენ ლაპარაკობთ ორ მილიონ ფრანგზე ალჟირში (ფაქტიურად ისინი უფრო ნაკლები არიან), მაგრამ ხომ არ შეიძლება უგულებელყოფილ იქნეს ცხრა მილიონი ალჟირელი.

ჩვენ ვცდილობდით ჩაგვეგონებინა ჩვენი თანამოსაუბრეებისათვის ამ პრობლემის სწორი გადაწყვეტა. ეს მოლე და პინო ამტკიცებდნენ, რომ ალჟირის დაკარგვით თითქოს დაიკარგება საფრანგეთის სიდიადე. ჩვენ მათ ვუმტკიცებდით, რომ საფრანგეთის ნამდვილი კოლონიური ძარცვა, სხვა ხალხების დათრგუნვა როდია. მაგრამ, როგორც ჩანს, კოლონიზატორთა მომხრეებს არ სურდათ ანგარიში გაეწიათ რეალური ფაქტებისათვის, იმიტომ რომ ისინი განაგრძობენ წინანდელ გაკოტრებულ პოლიტიკას.

თუ ფრანგი კოლონიზატორები მომავალშიც არ იტყვიან უარს ცდებზე ძალით შეინარჩუნონ ალჟირი როგორც თავიანთი კოლონია, ისინი დაკარგავენ მას სამხედრო დამარცხების შედეგად, რომელიც გარდუვლად მოხდება.

მალე მას შემდეგ, რაც გენერალი დე გოლი სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას სამხედრო პუტჩის შედეგად, მან გააკეთა განცხადება, რომ საფრანგეთი ცნობს, რომ ალჟირს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ხოლო შემდეგ უკიდურესი რეაქციული კოლონიზატორული ძალების გავლენით მან ხელი აიღო ამაზე და დაიწყო ლაპარაკი თვითგამორკვევის უფლებაზე, მაგრამ ისეთი „თვითგამორკვევისა“, როცა წინასწარ იქნებოდა განსაზღვრული, რომ ალჟირი უნდა დარჩეს საფრანგეთის შემადგენლობაში. ყველაზე გათავხედებული ფრანგი კოლონიზატორები მოითხოვენ ინტეგრაციას, ესე იგი იმას, რომ ალჟირი სავსებით ჩანთქან, სურთ მოსპონ ალჟირელთა ალჟირი, გადააქციონ საფრანგეთის პროვინციად ჩრდილოეთ აფრიკაში.

საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ქვეყნების ხალხები მტკიცედ იცავენ ლენინის ანდერძს იმის შესახებ, რომ ყოველ ხალხს უნდა ჰქონდეს თვითგამორკვევის და იმის უფლება, რომ მოაწყოს თავისი სახელმწიფო როგორც თვითონ სურს. ამიტომ ჩვენი სიმპათიები, ჩვენი თანაგრძნობა ალჟირელი ხალხის მხარეზეა, რომელიც სამართლიან ომს აწარმოებს კოლონიური უღლისაგან თავისი განთავისუფლებისათვის.

ომი სხვადასხვაგვარია. ჩვენ მძარცველური იმპერიალისტური ომის, ისეთი ომის წინააღმდეგი ვართ, რომელსაც ახლა ფრანგი კოლონიზატორები აწარმოებენ ალჟირში. მაგრამ ჩვენ ვცნობთ და მხარს ვუჭერთ ხალხების სამართლიან ომებს თავიანთი განთავისუფლებისათვის. რამდენადაც კოლონიზატორები თვითონ არ მიდიან კოლონიებიდან, დამონებული ქვეყნების ხალხები იძულებიან საბრძოლველად, რათა თავიანთი ქვეყნების ფარგლებიდან განდევნონ კოლონიზატორები. თუ საჭიროა, ისინი არც იმას ერიდებიან, რომ იარაღი აიხსნან და ბრძოლით მოიპოვონ თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ასეთ ბრძოლას აწარმოებენ ახლა ალჟირელი პატრიოტები, და ჩვენ წარმატებას ვუსურვებთ მათ.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ საბჭოთა კავშირმა ფაქტიურად ცნო ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა და ახლა გვინდა გავიმეოროთ ჩვენი განცხადება. ეს მთავრობა მთელმა მსოფლიომ ცნო, იგი ცნო საფრანგეთმაც. საფრანგეთის მთავრობას არაერთხელ ჰქონია კონტაქტი და მოლაპარაკება ალჟირის რესპუბლიკის მთავრობასთან, რომელიც ახლა ყველგან მიაჩნიათ ალჟირელი ხალხის წარმომადგენლად, მის ხელმძღვანელად ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება თავის პლენარულ სხდომაზე განიხილოს კონგოს საკითხიც. თავიანთ გამოსვლებში ასამბლეაზე საბჭოთა დელეგაციამ, სხვა სოციალისტური ქვეყნების დელეგაციებმა, აგრეთვე აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბევრმა წარმომადგენელმა სწორი შეფასება მისცეს კონგოში შექმნილ მდგომარეობას და საძრახის ორგანიზაციის, რომელიც იქ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდივანმა შეასრულა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ვერ მოიშორებს ჩირქს, რაც მას მოეცხო იმ პოლიტიკის შედეგად, რომელსაც კონგოში ახორციელებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნო გენერალური მდივნის ჰამარშელდის ხელმძღვანელობით. ბ-ნ ჰამარშელდისა და მის წარმომადგენელთა მეცადინეობით, კანონიერი პარლამენტი, რომელიც კონგოელმა ხალხმა აირჩია, მთავრობა ბ-ნ ლუმუმბას მეთაურობით, რომელიც პარლამენტმა კონსტიტუციის საფუძველზე შექმნა, დეზორგანიზებული და ხელფეხშეკრული იყო. ვინ არიან ეს წარმომადგენლები, რომლებსაც ბ-ნი ჰამარშელდი კონგოში გზავნიდა? ესენი არიან ბ-ნი კორდიე და ბ-ნი ბანჩი. ერთიც და მეორეც ამერიკელია. მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ ეს, რადგან თვითონ ბ-ნი ჰამარშელდიც ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალის მსახურია, და შემთხვევითი როდია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბ-ნმა ჰერტერმა ბ-ნ ჰამარშელდს გადასცა 5 მილიონი დოლარის ჩეკი, რათა გამოეყენებინა ეს თანხა თავისი შეხედულებით კონგოში იმ მიზნით, რომ დაემთავრებინა ბინძური საქმე და შენიღბულად აღედგინა წყობილება, რომელიც იქ იყო ბელგიელი კოლონიზატორების დროს.

საქმე ტრაგიკულად შეტრიალდა კონგოელი ხალხისათვის. მაგრამ ამან ჩამოხადა ნიღაბი იმპერიალისტებს — კოლონიზატორებს და იმათ, ვინც მათ ემსახურება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. ახლა ყველა ხედავს, რომ იგი ახორციელებს რეაქციულ, კოლონიზატორულ პოლიტიკას, გამოხატავს სახელმწიფოთა იმპერიალისტური ჯგუფის და მათი მეთაურის — შეერთებული შტატების ინტერესებს. კონგოს ამბები თვალს აუხსნელ კოლონიურ ხალხებს, ხელს შეუწყობთ მათ, რომ უკეთ გაიგონ, ვინ არის მათი მეგობარი და ვინ არის მათი მტერი.

ხოლო ის, რომ კოლონიზატორთა პოლიტიკა კრახით დამთავრდება, უეჭველ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

კიცებისათვის საბრძოლველად, იმისათვის საბრძოლველად, რომ გადაიჭრას თანამედროვეობის ყველაზე გადაუდებელი და საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი პრობლემები.

ნება მიბოძეთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით უმხურვალესი მადლობა ვუძღვნა მშრომელთა კოლექტივებს, ყველა საბჭოთა ადამიანს მათი კეთილი სურვილებისათვის.

ჩვენმა დელეგაციამ მიიღო აგრეთვე ათასობით წერილი და დეპეშა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, რომლებშიც გვისურვებენ წარმატებებს ჩვენს მუშაობაში მშვიდობის საკეთილდღეოდ. ბევრი წერილი და დეპეშა მივიღეთ ამერიკელებისაგან, რომლებშიც აგრეთვე გამოთქმულია იმედი, რომ მიღწეულ იქნება უკეთესი ურთიერთგაგება ხალხთა შორის, განმტკიცდება მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

ნება მიბოძეთ მადლობა ვუძღვნა ყველა ჩვენს უცხოელ მეგობარს მათი გულთბილი სურვილებისათვის, იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც გაუწიეს მუშაობაში ჩვენს დელეგაციას გენერალური ასამბლეის XV სესიაზე.

მინდა მხურვალე მადლობა ვუძღვნა ტურბოელექტრომავალ „ბალტიკის“ ეკიპაჟს, რომელსაც გემის კაპიტანი პ. ა. მაიოროვი მეთაურობს, მადლობა ვუძღვნა „ტუ-114“ თვითმფრინავის ეკიპაჟსა და მის მეთაურს ა. კ. ვიდკოვსკის კარგი მუშაობისათვის, სამსახურის ჩინებულად შესრულებისათვის. „ბალტიკით“ ჩვენ გადავსერეთ ატლანტის ოკეანე და ჩავედით ნიუ-იორკში, ხოლო „ტუ-114“ თვითმფრინავმა 10 საათში ჩამოგვიყვანა შმობლიურ მოსკოვში.

ათ დღე-ღამეს მივდიოდით „ბალტიკით“ ატლანტის ოკეანეში, ნიუ-იორკიდან მოსკოვში კი „ტუ-114“ თვითმფრინავით დაბრუნებას მხოლოდ 10 საათი დასჭირდა. აი ტექნიკა! სხვადასხვა დონე, სხვადასხვა შესაძლებლობანი!

თუ როგორ შეასრულა თავისი ამოცანა საბჭოთა დელეგაციამ გენერალურ ასამბლეაზე, საბჭოთა ხალხმა განსაჯოს. ჩვენ ვცდილობდით პირნათლად და ღირსეულად გამოგვეხატა საბჭოთა კავშირის ინტერესები. დროს ამაოდ არ ვკარგავდით, კარგად გვესმოდა, რომ ნიუ-იორკში სიდედრთან ბლინების საჭმელად კი არ მივდიოდით, არამედ სამუშაოდ. მით უმეტეს, რომ ამერიკის მთავრობა, როგორც ეს პრესიდან იცით, როდი აპირებდა პურ-მარილით შეგვხვედროდა. მაგრამ ამან არ შეგვაკრთო და ვაკეთებდით ჩვენს საქმეს, როგორც ამას გვიკარნახებდა კომუნისტის — მთელი მსოფლიოს მშვიდობის დამცველის დიდი პასუხისმგებლობის შეგნება და სინდისი.

მინდა, ამხანაგებო, გაგიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილებანი ქალაქ ნიუ-იორკის შესახებ. ეს ძალიან დიდი ქალაქია. გორკიმ მას ყვითელი ეშმაკის ქალაქი უწოდა. მაგრამ იმ დროიდან, რაც იქ გორკი იყო, უკვე 50 წელზე მეტმა განვლო, და მას შემდეგ ნიუ-იორკი კიდევ უფრო საძაგელი გახდა. იგი თითქოს ცხადყოფს კაპიტალიზმის სიმახინჯეს, მის გადაგვარებას. ადამიანები, რომლებიც იქ ცხოვრობენ, რაღაც სამუდამო კატორღას იმზადებენ, თავს იქოლავენ ქვის ტომრებში. ხშირად ანგრევენ საკმაოდ მაღალსართულიან სახლებს, მათ ნაცვლად აშენებენ ცათამბჯენებს. ქალაქი თითქოს ზევით იწევს.

ქვევით ზოგიერთ ქუჩაზე ხეებია დარგული. მაგრამ ვერ ხარობს, ხმება და, როგორც ჩანს, იღუპება. მათ მაგივრად ახალ ხეებს რგავენ, რომლებიც აგრეთვე მალე იღუპება.

განსაკუთრებით საცოდავი სანახავი არიან ბავშვები, რომლებიც მოკლებული არიან ბავშვის ბევრ სიხარულს, რადგან მათ არა აქვთ საშუალება არა თუ ირბინონ, არამედ თუნდაც სუფთა ჰაერზე გაისეირნონ, რაც ასე საჭიროა ყოველი ცოცხალი არსებისათვის. ქუჩები პირდაპირ გაჭედილია ავტომობილებით. მანქანები კი, როგორც ცნობილია, बენზინით მუშაობენ. ამიტომ მთელი ატმოსფერო მოწამლულია. ერთი სიტყვით, ამ მხრივ ნიუ-იორკი საშინელი ქალაქია.

ადამიანები, რომლებიც იქ პასუხისმგებელი არიან ქალაქის განვითარების მიმართულებისათვის, ვერ აჩერებენ ქალაქის შემდგომ დამახინჯებას, რადგან არა სახელმწიფო, არა პოლიტიკური მოღვაწეები განსაზღვრავენ, თუ როგორ უნდა ვითარდებოდეს ქალაქი, არამედ ამას სჩადის ყოველი მესაკუთრე, რომელსაც მიწის ნაკვეთი აქვს. თუ მისთვის ხელსაყრელია დაანგრიოს 15-20 სართულიანი სახლი და ააშენოს მარჯვე ადგილას 40-60 ან ასსართულიანი სახლიც კი, იგი ანგრევს სახლს და აშენებს ახალს.

ამ ყვითელი ეშმაკის ქალაქში მთავარია არა ადამიანი, არამედ დოლარი. ყველა იმაზე ფიქრობს, რომ მიიღოს მეტი შემოსავალი, მეტი ჰქონდეს დოლარი. იქ ყურადღების ცენტრშია არა ადამიანის სიცოცხლე, არამედ გამდიდრება, კაპიტალის შეძენა.

კაპიტალისტური მიმართულება საქალაქო მშენებლობაში ნაკლებად უწევს ანგარიშს ადამიანის საარსებო მოთხოვნილებებს. მე უნებურად სიამაყით ვადარებდი ამას ქალაქთმშენებლობის ჩვენებურ, სოციალისტურ განვითარებას, სადაც ქალაქების დაგეგმვა და მშენებლობა ექვემდებარება ადამიანს, მისთვის ზრუნვას, მეტი მოხერხებულობის შექმნას.

სამშობლოში, მოსკოვში რომ დავბრუნდი, პირდაპირ ვტკბები სუფთა, მაცოცხლებელი ჰაერით, რომელსაც ჩვენი ადამიანები სუნთქავენ. ჩვენი დედაქალაქი მშვენიერი ქალაქია, განსაკუთრებით ახლა, როცა ხდება მისი გარდაქმნა, როცა შენდება ახალი უბნები. მოსკოვი სულ უფრო მშვენიერი ქალაქი ხდება. აქ არის კეთილმოწყობილი სახლები, ფართო ქუჩები, მოედნები, მწვანით დამშვენებული ბულვარები, ბავშვების სათამაშო მოედნები, გუბურები, მწვანე ნარგავთა მასივები.

ამხანაგებო! მე უკვე ვთქვი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავისი ახლანდელი სახით ვერ ამართლებს ხალხთა იმედს, ომის საფრთხისაგან, გამალებული შეიარაღებისაგან განთავისუფლების იმედს. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს, სიმართლე გაიმარჯვებს, კეთილი თესლი უხვ აღმონაცენს მოგვცემს. დადგება ისეთი დრო, და ეს დრო შორს აღარ არის, როცა ხალხთა ზეგავლენით მთავრობები შეიგნებენ, რომ საჭიროა სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა, დარწმუნდებიან, რომ საჭიროა განახორციელონ საყოველთაო და სრული განიარაღება მტკიცე და საერთაშორისო კონტროლით. ჩვენი მხრივ ყოველ დონეს ვიხმართ, რათა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გარდაიქმნას დროის მოთხოვნების შესაბამისად, რათა იგი გახდეს საყოველთაო მშვიდობის ქმედითი და უნივერსალური ინსტრუმენტი.

უნდა ვაღიაროთ, რომ საერთაშორისო ვითარება კვლავ დაძაბულია. ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ წრეებს ხელი არ აუღიათ თავიანთ აგრესიულ მოქმედებაზე, იმაზე, რომ მოაწყონ თვითმფრინავების პროვოკაციული ფრენა სხვის ტერიტორიებზე, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსახილველად შევიტანეთ საკითხი შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედებისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს საკითხი შეტანილია დღის წესრიგში.

ამას წინათ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ პენტაგონმა გადაწყვიტა რაკეტებითა და ატომური იარაღით აღჭურვილი წყალქვეშა ნავები გზავნოს საბჭოთა კავშირის ნაპირების ახლოს.

ამერიკელმა გენერლებმა და ადმირალებმა არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ ჩვენს ქვეყანასაც აქვს რაკეტებით შეიარაღებული ატომურძრავიანი წყალქვეშა ნავები. რა იქნება ჩვენც რომ ასეთსავე გზას დავადგეთ და ჩვენი წყალქვეშა ნავები ვგზავნოთ ამერიკის ნაპირებთან? ეს არის დანაშაულებრივი „პოლიტიკა ომის ზღვარზე“, რომელიც დალესმა გამოაცხადა და რომელსაც მისი მიმდევრები ახორციელებენ. ეს არის გზა „ცივი ომისა“, რომელიც შეიძლება ცხელ ომად იქცეს.

ჩვენი ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან ამ უკანასკნელ ხანს გაუარესდა და ეს ჩვენი ბრალი არ არის.

მაგრამ რაც უნდა ცივი ურთიერთობა გვქონდეს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ჩვენ განვაგრძობთ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას. დარწმუნებული ვართ, რომ მოვა დრო, როცა ჩვენი სახელმწიფოების, ჩვენი ხალხების, ჩვენი მთავრობების ურთიერთობა გაუმჯობესდება.

მაგრამ ეს დრო რომ მოვაახლოოთ და პენტაგონს, ამერიკის აგრესიულ წრეებს დავუკარგოთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პროვოკაციების მოწყობის ხალისი, საჭიროა ჩვენი ეკონომიკა ძლიერი ტემპით ვითარდებოდეს, სათანადო დონეზე იყოს ჩვენი მეცნიერება, ჩვენს არმიას ჰქონდეს შეიარაღების ყველაზე თანამედროვე საშუალებანი.

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა განუხრელად დიდდებოდეს შრომის ნაყოფიერება, უნდა უზრუნველვყოთ ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის ზრდა, ავაღლოთ ხალხის ცხოვრების დონე, რათა კაპიტალიზმთან მშვიდობიან შეჯიბრებაში პრაქტიკულად ცხადვყოთ სოციალიზმის დიადი უპირატესობანი, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების დიადი ძალა.

თუ რა წარმატებით მიმდინარეობს ჩვენი საშინაო საქმეები, ეს მეტად დამაჯერებლად არის ნათქვამი ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ამას წინათ გამოქვეყნებულ ცნობაში სახალხო მეურნეობის ამა წლის ცხრა თვის გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. ასეთი შედეგები სიხარულს უნერგავს გულში საბჭოთა ადამიანებს, კომუნიზმის დაუცხრომელ მშენებლებს, შთააგონებს ჩვენს მეგობრებს საზღვარგარეთ.

წლითიწლობით მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს საგეგმო დავალებებს სოციალისტური ინდუსტრია, რომელიც განსაკუთრებით ძლიერი ტემპით ვითარდება. მიმდინარე წელს სამრეწველო პროდუქციის მატება გადააჭარბებს 140 მილიარდ მანეთს. უნდა ითქვას, რომ სულ რამდენიმე წლის წინათ მრეწველობის მართვის რეორგანიზაციის წინ, სამრეწველო პროდუქციის მატება დაახლოებით 100 მილიარდ მანეთს შეადგენდა წელიწადში.

თქვენ, უეჭველია, გახსოვთ, რომ 1946 წლის დამდეგს, ჩვენი ეკონომიკის ომისშემდგომი განვითარების გეგმებს რომ ამუშავებდა, პარტია ამოცანად ისახავდა გაესამკეცებინა სამრეწველო პროდუქცია და მიეღწია 60 მილიონი ტონა ფოლადისა და 60 მილიონი ტონა ნავთობის ყოველწლიური წარმოებისათვის. გათვალისწინებული იყო, რომ დასახული გეგმების შესრულებას დასჭირდებოდა თხუთმეტი წელი და მეტიც.

როგორ შეასრულა ეს ამოცანა საბჭოთა ხალხმა? გავიდა 15 წელი, და მრეწველობის პროდუქციის წარმოება ჩვენს ქვეყანაში გადიდდა არა სამჯერ, არამედ ექვსჯერ. ახლა საბჭოთა კავშირი წელიწადში აწარმოებს 65 მილიონ ტონა ფოლადს და იღებს 145 მილიონ ტონაზე მეტ ნავთობს. ასევე წარმატებით ვითარდება ჩვენი სოფლის მეურნეობა, მიმდინარეობს კულტურული მშენებლობა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კვალიფიციური კადრების აღზრდას. ჩვენი ქვეყნის წარმატებანი კადრების მომზადების საქმეში მთელი მსოფლიოს განცვიფრებას იწვევს. სოციალიზმის მოწინააღმდეგეებმა უაზრო ლეგენდაც კი შეთხზეს იმის შესახებ, რომ ჩვენ ბევრი ინჟინერი, მეცნიერი, ექიმი, პედაგოგი იქნება საბჭოთა კავშირში, მით უფრო მეტ სიძნელეს წააწყდებიან ჩვენი წინსვლის გზაზე. მერე [illegible] ამ „სიძნელეებს“.

ნება მიბოძეთ მოვიყვანო ზოგიერთი მეტად მჭევრმეტყველური მონაცემები. 1926 წელს, როცა მთავრდებოდა ჩვენი მეურნეობის რევოლუციამდელი დონის აღდგენა, საბჭოთა კავშირში უმაღლესი სასწავლებლის 168 ათასი სტუდენტი იყო და ორნახევარ მილიონზე ცოტათი მეტი გონებრივი შრომის მუშაკი. შარშან ჩვენს ქვეყანაში იყო 2 მილიონ 200 ათასი სტუდენტი, ესე იგი 13-ჯერ მეტი, ხოლო გონებრივი შრომის მუშაკთა რიცხვი გაიზარდა რვაჯერ და ახლა 20 მილიონს აღემატება. ამასთან ინჟინრების, ტექნიკოსებისა და აგრონომების რიცხვი 18-ჯერ გადიდდა, ხოლო მეცნიერი მუშაკებისა — 23-ჯერ.

მნიშვნელოვნად გადიდდა საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირთა რიცხვი იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ფიზიკურ შრომას ეწევიან. რევოლუციამდე მუშებსა და გლეხებს შორის არ იყვნენ საშუალო განათლების და მით უმეტეს უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები, ახლა კი უკანასკნელი აღწერის მონაცემებით, საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეებს შორის, რომლებიც ფიზიკურ შრომას ეწევიან, 32 პროცენტი საშუალო ან უმაღლესი განათლების მქონეა, აქედან 39 პროცენტი მუშებს შორის და 21 პროცენტი კოლმეურნეთა შორის.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა გონებრივი შრომის მუშაკთა — ნამდვილად სახალხო ინტელიგენციის ოც მილიონიანზე მეტი რაზმი, მუშათა და გლეხთა ხორცი ხორცთაგანი. კიდევ უფრო საგულისხმოა, რომ საბჭოთა ადამიანების თითქმის ერთ მესამედს, რომლებიც ფიზიკურ შრომას ეწევიან, მათ შორის მუშათა ორ მეხუთედს და კოლმეურნეთა ერთ მეხუთედზე მეტს აქვს საშუალო და უმაღლესი განათლებაც კი.

ყოველივე ეს დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ ჩვენში უკვე არის მეტად საგრძნობი მიღწევები ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებით განსხვავებათა თანდათანობით მოსპობის საქმეში.

შეიძლებოდა მოგვეყვანა ბევრი სხვა ასევე დამაჯერებელი მაგალითი, რომლებიც მოწმობენ ჩვენი სამშობლოს თვალსაჩინო წარმატებებს, სამშობლოსი, რომელიც მტკიცე რწმენით მიდის დიადი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

ძვირფასო ამხანაგებო! გაიგლის ორ კვირაზე ცოტა მეტი ხანი, და ჩვენ ვიდღესასწაულებთ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის — კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი რევოლუციის 43-ე წლისთავს.

სასიამოვნო და სასიხარულოა ომის შეგნება, რომ განსაკუთრებული წარმატებანი მოიპოვა საბჭოთა ხალხმა — ახალი, კომუნისტური სამყაროს დიადმა მშენებელმა მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრების ერთგულნი, ჩვენ გაბედულად მივდივართ წინ, და არ არის მსოფლიოში ისეთი ძალა, რომ შეაჩეროს ხალხთა ეს წინსვლა ნათელი მიზნისაკენ.

გაუმარჯოს ჩვენს ლენინურ კომუნისტურ პარტიას — კომუნიზმის მშენებლობის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს — მთელი პროგრესულ კაცობრიობის დიდებასა და სიამაყეს!

გაუმარჯოს სოციალიზმის ქვეყნების მძლავრ ბანაკს!

გაუმარჯოს მტკიცე მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

(ნ. ს. ხრუშჩოვს სიტყვა დამსწრეებმა მრავალგზის შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით).

მოსკოვის მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი,

ROMELIC MIEIDZVNA SABCHOTA DELEGACIIS MUSHAOBAS GAERTIANEBULI EREBIS ORGANIZACIIS GENERALURI ASAMBLEIS XV SESIAZE

ჩვენი ქვეყნის მშრომელები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა დელეგაციისა და მისი მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის საქმიანობას, რომლებიც თანმიმდევრულად, დიდი სიმტკიცით იცავდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოლიტიკას, რომელსაც მხურვალედ უჭერს მხარს მსოფლიოს ყველა ხალხი.

იმის ახალ, მკაფიო დადასტურებას, რომ მთელი ხალხი იწონებს საბჭოთა მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, ყველა კონტინენტის ადამიანთა მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას, იმის დადასტურებას, რომ იწონებენ და ერთსულოვნად უჭერენ მხარს საბჭოთა დელეგაციის პოზიციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე, წარმოადგენს მოსკოვის მშრომელთა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც 20 ოქტომბერს გაიმართა ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში. მიტინგში მონაწილეობა მიიღო 12 ათასზე მეტმა კაცმა.

მიტინგს დაესწრნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები და თანამშრომლები.

უზარმაზარი დარბაზი ლამაზად არის მორთული. ტრიბუნის თავზე წითელ ქსოვილზე წარწერილია სიტყვები: „მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!“ დარბაზის მეორე მხარეს არის ლოზუნგი: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას!“.

...დღის 4 საათია. შეკრებილნი მქუხარე ოვაციით, ფეხზე ამდგარნი ხვდებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვს,** ამხანაგებს **ა. ბ. არისტოვს, ნ. გ. იგნატოვს, ფ. რ. კოზლოვს, ა. ნ. კოსიგინს, ნ. ა. მუხიტდინოვს, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ე. ა. ფურცევას, ნ. მ. შვერნიკს, პ. ნ. პოსპელოვს,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს **ს. მ. ბუდიონის, კ. ე. ვოროშილოვს,** მინისტრებს, მოსკოვის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, როცა ისინი პრეზიდიუმში შემოდიან.

მიტინგი მოკლე სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **პ. ნ. დემიჩოვმა.**

სპორტის სასახლეში ყველს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

კიდით კიდემდე გაისმის ხმამაღალი, მქუხარე „ვაშა!“, გაისმის შეძახილები: „მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის დაუცხრომელ მებრძოლს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს — დიდებას!“, „პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით — ვაშა“, „გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!“

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს პირველი სახელმწიფო საკისართა ქარხნის საინსტრუმენტო საამქროს ხარატმა **ა. ი. ნაზაროვმა,** მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობა „გიგანტი ბოსტნის“ ბრიგადირმა **ვ. ა. ეიგაევამ,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოქიმიისა და ანალიზური ქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა სოციალისტური შრომის გმირმა აკადემიკოსმა **ა. პ. ვინოგრადოვმა,** მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტის სტუდენტმა **ტ. ვ. ზელენცოვამ.**

სიტყვა ეძლევა ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვს.**

მიტინგის ათასობით მონაწილე საბჭოთა მთავრობის მეთაურს, მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლს, ხალხთა მეგობრობის დამცველს ხვდება მქუხარე ოვაციით. ყველა ერთსულოვანი აღფრთოვანებით დგება, გაისმის შეძახილები: გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, გაუმარჯოს ლენინურ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, მთელი კაცობრიობის მშვიდობისათვის პროგრესისა და უკეთესი მომავლისათვის მებრძოლ საბჭოთა ხალხს.

მიტინგის მონაწილეებმა ამხანაგ **ნ. ს. ხრუშჩოვის** სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დამთავრებისას დარბაზში იმართება მქუხარე ოვაცია.

მიტინგის მონაწილენი ერთსულოვნად იღებენ რეზოლუციას, რომელიც მხურვალედ იწონებს საბჭოთა დელეგაციისა და მისი ხელმძღვანელის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საქმიანობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის მგზნებარე, მჩქეფარე საქმიანობა გენერალურ ასამბლეაზე ისახავდა მაღალ მიზანს — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დაცვას, უბრალო ადამიანების ძირეული ინტერესების დაცვას. მშვიდობის, თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ამ კეთილშობილური შრომის გამო ყველა საბჭოთა ადამიანი დიდ, გულითად მადლობას უძღვნის ძვირფას ნიკიტა სერგის-ძეს.

საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადებებმა, საბჭოთა დელეგაციის საქმიანობამ გენერალური ასამბლეის სესიაზე, აღნიშნულია შემდეგ რეზოლუციაში, კიდევ უფრო აამაღლეს საბჭოთა კავშირის, როგორც მშვიდობისა და განიარაღებისათვის მებრძოლის, კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციისათვის მებრძოლის საერთაშორისო ავტორიტეტი, უზრუნველყვეს სოციალიზმის თვალსაჩინო მორალურ-პოლიტიკური გამარჯვება იმპერიალიზმის აგრესიულ ძალებზე.

დედაქალაქის ყველა მშრომელის სახელით მიტინგის მონაწილეებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობასა და პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს აღუთქვეს, რომ მოსკოველები გაამრავლებენ თავიანთ ღონისძიებებს შვიდწლიანი გეგმის — ჩვენი დიადი სამშობლოს მშვიდობიანი მშენებლობისა და აყვავების გეგმის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

• • •

დედაქალაქის მშრომელთა მრავალათასიანმა მიტინგმა დიდი ძალით ცხადყო, რომ საბჭოთა ადამიანები საბჭოთა კავშირის ლენინური კომუნისტური პარტიისა და მშობლიური საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით მხურვალედ ისწრაფვიან საბოლოო გამარჯვებამდე დაიცვან ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის დიადი საქმე. (საკდესი).

საქართველოს ფიზკულტურული აქტივის კრება

20 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს ფიზკულტურული აქტივის კრება პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკების მონაწილეობით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შეიკრიბა ათასზე მეტი კაცი — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები და ოსტატები, საკავშირო და რესპუბლიკური ნაკრები გუნდების წევრები, მწვრთნელები და მსაჯები, სპორტული საზოგადოებების, სპორტული საზოგადოებათა და ორგანიზაციათა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების, ფიზკულტურის ძირეული კოლექტივების ხელმძღვანელები, სტუდენტები, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **ვ. მუავანაძე, გ. ჯავახიშვილი,** სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ნ. რომანოვი, გ. ქადაგიძე, ფ. დუმბაძე, გ. გეგეშიძე, მ. ლელაშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ზ. კვაჭაძე, ა. ლაბახუა,** სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატები **ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი, მზია ჯუღელი, ბორის პაიჭაძე, ოთარ ქორქია, რობერტ შავლაყაძე, გიორგი სხირტლაძე** და სხვა ცნობილი სპორტსმენები.

კრება გახსნა საქართველოს პროფესიულ კავშირთა საბჭოს თავმჯდომარემ **მ. ლელაშვილმა.**

მოხსენება „რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების შედეგები 1960 წლის მანძილზე და ახალი ამოცანები“ გააკეთა საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ **გ. სიხარულიძემ.**

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ: საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი **გ. გეგეშიძე,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **თ. ბადურაშვილი,** სპორტის დამსახურებული ოსტატი **რ. შავლაყაძე,** სპორტულ საზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ო. აბუაშვილი,** საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ე. ტაკიძე,** სპორტის ოსტატი **ი. რიაზანოვა,** სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ულენტი,** საქართველოს ალკკ დუშეთის რაიკომის მდივანი **ც. ბექაური,** თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსი **გ. მაცაბერიძე,** ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე **ა. სურგულაძე,** სპორტის დამსახურებული ოსტატი **ლ. სანაძე,** აფხაზეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ბერულავა,** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტის გამგე **გ. მერკვილაძე.**

კრებაზე გამოვიდა სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ნ. რომანოვი.** შეკრებილთა ტაშის გრიალში მან რესპუბლიკის ფიზკულტურელთა წარმომადგენლებს გადასცა გარდამავალი წითელი დროშა, რომლითაც დაჯილდოებულია საქართველოს სპორტული ორგანიზაცია საუკეთესო მაჩვენებლებისათვის ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარებისა და კვალიფიციური სპორტსმენების მომზადებისათვის მუშაობაში.

კრებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. მუავანაძემ,** რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლის მიზანია რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და სასპორტო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი განვითარება. კრებაზე მთავრობის ჯილდოები გადაეცათ ქართველ სპორტსმენებს — XVII ოლიმპიურ ასპარეზობაში გამარჯვებულებს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა **ზ. გელდიაშვილმა** წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება იმის შესახებ, რომ სპორტსმენები და მწვრთნელები დაჯილდოებული არიან სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით 1960 წლის ზაფხულის XVII და ზამთრის VIII ოლიმპიურ ასპარეზობაში წარმატებითი გამოსვლებისათვის, აგრეთვე თვალსაჩინო სპორტული მიღწევებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ამხ. **ვ. მუავანაძემ** შეკრებილთა ტაშის გრიალში გადასცა: **ლენინის ორდენი რ. შავლაყაძეს, „საპატიო ნიშნის“** ორდენი — **ლ. გოგოლაძეს, გ. მინაშვილს, გ. ჩიქვანაიას,** მედალი **„შრომითი წარჩინებისათვის“** — **პ. იორდანიშვილს, გ. კოსტავას, ვ. რუბაშვილს, ვ. უგრეხელიძეს.**

ამხ. **ვ. მუავანაძემ** გულითადად მიულოცა მათ მაღალი ჯილდოები და უსურვა ახალი წარმატებანი საბჭოთა სპორტის სასახელოდ.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდა ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი **რ. შავლაყაძე,** რომელმაც მხურვალე მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი სპორტული მიღწევების დიდად დაფასებისათვის და პირობა დადო, რომ საბჭოთა სპორტსმენები ყოველთვის პირნათლად გამართლებენ საყვარელი სამშობლოს ნდობას.

კრების დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება გაზეთების უახლოეს ნომრებში. (საქდესი).

ქართველისტი

მე-5 გვერდი. პარასკევი.
21 ოქტომბერი, 1960 წ.

საერთაშორისო ყველაფერი, ცხოველი, მიმოხილვა
ცხოვრება

ნერუს განცხადება

დელი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯ. ნერუმ გუშინ ინდოეთის პარლამენტის წევრთა წინაშე გააკეთა მოხსენება, რომელიც გაანალიზა თანამედროვე საერთაშორისო ვითარება.

ძირითადი ყურადღება ნერუმ დაუთმო განიარაღების, კოლონიალიზმის ლიკვიდაციის საკითხს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის მუშაობას. შეეხო რა განიარაღების საკითხს, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეტად საჭიროა უსწრაფესად გადაიჭრას ეს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემა.

დადგა დრო, განაცხადა ნერუმ, რომ სახელმწიფოებმა სერიოზულად განიხილონ ეს საკითხი. ამასთან დაკავშირებით ინდოეთის პრემიერ-მინისტრი შეეხო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წინადადებას, რომ საჭიროა ეს საკითხი განხილულ იქნას მომავალი წლის დადგებას. მან იმედი გამოთქვა, რომ მოხდება ასეთი განხილვა და იგი გამოიწვევს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

ილაპარაკა რა შემდეგ კოლონიალიზმის საკითხზე, ნერუ მიესალმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიის გადწყვეტილებას ყოველმხრივ განიხილოს დეკლარაცია კოლონიური კმეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირის სახელით შეიტანა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

შეეხო რა შემდეგ კონგოს რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობას, ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ კვეყანაში სიმშვიდის დასამყარებლად საჭიროა, რომ კონგოს პარლამენტმა დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა და მიიღოს გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეეხებიან კონგოს სამინარ მდგომარეობას.

ნერუმ განაცხადა, რომ საჭიროა რადიკალური ცვლილებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურაში. არ შეიძლება ითქვას, განაცხადა მან, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თავი ცოდნით შეუძლია გადაჭრას თანამედროვე საერთაშორისო პრობლემები. პრემიერ-მინისტრის აზრით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურის ცვლილება უნდა მოხდეს ყოველმხრივი განხილვისა და მოფიქრების შემდეგ.

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დილით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა დაიწყო განხილვა დღის წესრიგის პირველ პუნქტისა — განიარაღების საკითხისა, რომელიც შეტანილია საბჭოთა მთავრობის ინიციატივით.

პირველი გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ვ. ა. ზორინი.

ვ. ა. ზორინმა განაცხადა, რომ რამდენადაც საბჭოთა კავშირის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხი განხილული ყოფილიყო ასამბლეის პლენარულ სხდომებზე, იგი გადაეცა პირველ კომიტეტს, ამ კომიტეტმა ყოველ მხრივ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს საყოველთაო და სრული განიარაღების ძირითადი პრინციპების შეთანხმება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ გენერალური ასამბლეის XIV სესიის რეზოლუციის შესაბამისად.

შემდეგ სიტყვა მიეცა პაკისტანის დელეგაციის მეთაურს ბუტოს. მან ილაპარაკა იმ აურაცხელ უბედურებაზე, რაც ემუქრება კაცობრიობას გამლეტავი შეიარაღების განგრძობის შემთხვევაში, ხაზგასმით აღნიშნა, რომ აუცილებლად საჭიროა რაც შეიძლება მალე განხორციელდეს საყოველთაო და სრული განიარაღება. მაგრამ, დაიწყო რა იმ წინადადებების არსებითად განხილვა, რომლებიც გენერალური ასამბლეის სესიის განსახილველად არის შეტანილი, მან მხარი დაუჭირა დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებებს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არიდებენ ამ მთავარი ამოცანის გადაჭრას.

ამით დღის სხდომა დამთავრდა.

ახალგაზრდობამ უსტვინა შტრაუსს

ბერლინი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). აღშფოთების ყვირილითა და სტვენით, შეძახილებით, „შტრაუსი გადადგეს!“, „ძირს შტრაუსს!“ შეხვდა დასავლეთ გერმანიის სამხედრო მინისტრ შტრაუსს ასობით ახალგაზრდა, რომლებიც გუშინ საღამოს მაინის ფრანკფურტში შეკრებნენ იმ შენობის ახლოს, სადაც უდა გამოსულიყო იგი ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის საარჩევნო კრებაზე. ამ კრების დაწყებამდე უკვე ერთი საათით ადრე შენობის შესასვლელთან და მეზობელ ქუჩებში შეიკრიბა ხალხი პლაკატებით: „უტიმო ზონა! განიარაღება! ძირს ადენაუერი, შტრაუსი და კომპანია!“.

როგორც ადნის საგაზეთო გადმოგცემს, შტრაუსს სიტყვა არაურთგზის შეაწყვეტინეს სპიოტესტო შეძახილებით. მისი პროვოკაციული განცხადების საპასუხოდ, რომ ბონის მთავრობა „იძულებულია მილიარდები ხარჯოს შეიარაღებაზე იმისათვის, რომ შეაჩეროს ბოლშევიზმი“, გაისმა აღშფოთებული ყვირილი: „ამას უკვე ლაპარაკობდა გებელსი“.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 19 ოქტომბერი. (საკდესი). საფრანგეთის ეროვნული კრების ღამის სხდომაზე გრძელდებოდა ეგრეთწოდებული „ატომური დამკვრელი ძალის“ შექმნის შესახებ მთავრობის კანონპროექტის განხილვა. მთელმა რიგმა დეპუტატებმა მკვეთრად გააკრიტიკეს კანონპროექტი.

კომუნისტმა დეპუტატმა პიერ ვიიონმა განაცხადა, რომ „დამკვრელი ძალა“ ვერ უზრუნველყოფს საფრანგეთის დამოუკიდებლობას, რომელიც ამასთანავე იძულებული გახდება მნიშვნელოვანი რაოდენობის საჭურველი საზღვარგარეთ იყიდოს.

ზოგიერთი დეპუტატი აღნიშნავდა, რომ მთავრობის ახალი სამხედრო გეგმები საფრანგეთს დააკისრებენ მძიმე ფინანსურ ტვირთს. დეპუტატმა ჟაპომ („დამოუკიდებელი“) განაცხადა, კერძოდ, რომ მთავრობის სურვილს შექმნას „დამკვრელი ძალა“ შეუძლია ჩვენი ქვეყანა „დამლუპველ ფინანსურ ავანტიურამდე“ მიიყვანოს.

კამათი განახლდება დღეს 17 საათზე მოსკოვის დროით.

ღამის სხდომის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ პარლამენტის უთმა ჯგუფმა — „დამოუკიდებლები“, სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის პარტია, სოციალისტები, „დემოკრატიული თანხმობის“ და „რესპუბლიკის ერთიანობის“ (ეგრეთწოდებული ალერილი დეპუტატები) პარტიები — წამოაყენა წინადადება, რომ მთავრობის კანონპროექტი საპარლამენტო კომისიას გადაეცეს ახალი განხილვისათვის.

სასამართლო პროცესი იასიადაში

იასიადა, 19 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს თურქეთის ყოფილ ხელმძღვანელთა სასამართლო პროცესზე დაიწყო გარჩევა საქმისა 1955 წლის 6-7 სექტემბრის ამბების შესახებ, როცა სტამბოლსა და იზმირში მოხდა ბერძენთა საწინააღმდეგო რბევა. საბრალდებულო სკამზე ზის 11 კაცი. მათ შორის ყოფილი პრეზიდენტი ბაიარი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი მენდერესი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ზორლუ, პრემიერ-მინისტრის თანაშემწე 1955 წელს ფუატ კეპრელიუ, სტამბოლის ყოფილი გუბერნატორი გეკაი.

გამოძიების უმაღლესი კომისიის დასკვნაში ნათქვამია, რომ ბაიარს, მენდერესს, ზორლუსა და კეპრელიუს ბრალად ედებათ ამ ამბების წინასწარგანზრახული ორგანიზაცია, რათა თურქეთში გამოიწვიათ ბერძენთა საწინააღმდეგო გამოსვლა.

საბრალდებელო დასკვნაში აღნიშნულია, რომ თურქეთის ყოფილმა მთავრობამ თავის დანაშაულობათა კვალის მისაჩქმალავად მოიწონა სტამბოლში დემონსტრაციის მოწყობა, რომელიც შემდეგ გაასაღა „კომუნისტურ წაქეზებად“.

მცენარეთა მკურნალებთან

აქ ყველაფერი თეთრად ქათქათებს — კედლები, პარატურა, მაგიდები, თვით ადამიანებსაც თეთრი ხალათები აცვიათ, თუმცა რა გასაკვირველია, ეს ხომ მცენარეთა სამკურნალო ადგილია. და აქაც, ისევე როგორც ადამიანთა სამკურნალო დაწესებულებებში, განსაკუთრებული სისუფთავეა საჭირო.

მაგიდაზე დგას მინის სქელკედლებიანი ჭურჭელი, რომელშიც წყალი ასხია, მის წინ ზის მეცნიერი მუშაკი და ხელთათმანიანი ხელებით ჭურჭლის უკან უჭირავს სინჯარა.

— სინჯარაში მოთავსებულია მცენარის მავნებელი მიკროორგანიზმი, რომელსაც შეუვანილი აქვს რადიაქტიური იზოტოპი, — გვიხსნის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის აკადემიის მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბიოფიზიკური ლაბორატორიის გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი რ. ყიფიანი, — ამიტომაც ეს წყლიანი ჭურჭელი ეკრანივით გვაქვს აფარებული, რომ დაგვიცავს გახვეებისაგან. სინჯარაში მყოფ მიკროორგანიზმს მივეცით რადიაქტიური იზოტოპი საკვებთან ერთად.

ამ შემთხვევაში იზოტოპი ან ნიშანდებული ატომი გვეხმარება დაკვირვება უფრო თვალსაჩინო გავხადოთ, გავიგოთ, თუ სად გადაადგილდება მცენარეზე მიკროორგანიზმი, მცენარის რა ნაწილში დაგროვდება.

ლაბორატორიაში მრავალი ხელსაწყო დგას. არის სპეციალური ოთახი, სადაც აწარმოებენ რადიოავტოგრაფით დაკვირვებას, რადიომეტრული აპარატი, რომლის დახმარებით იკვლევენ, რა რაოდენობით იმყოფება მცენარეში ან ნაყოფზე ნიშანდებული მიკროორგანიზმი.

მეორე ძირითად ამოცანას წარმოადგენს გამონახვა საშუალებებისა მავნე მწერებთან საბრძოლველად. ამისათვის ახდენენ რადიაქტიურ გამოსხივებას მავნე მწერზე ან მიკროორგანიზმზე და იკვლევენ, რა დოზაა საჭირო მათს მოსასპობად.

ბიოფიზიკურ ლაბორატორიაში რადიაქტიური იზოტოპების დახმარებით დიდი მუშაობა წარმოებს აგრეთვე შხამქიმიკატების მცენარეში შეჩრის საკითხზე: მცენარეთა შეწამვლის დროს რა რაოდენობით შედის მასში შხამქიმიკატები, ხდება თუ არა მათი გადაადგილება და რამდენ ხანს რჩება, არის თუ არა საზიანო შეწამლული ნაყოფი ადამიანისათვის და სხვ.

ამ საკითხების შესასწავლად აგრეთვე იყენებენ ნიშანდებული ატომის მეთოდს, რადიოავტოგრაფიულ და რადიომეტრულ აპარატურას.

აქ, ლაბორატორიაში, მეცნიერული დაკვირვების შედეგად დადასტურდა, თუ თიოფოზით (ფოსფორული ნივთიერებით) შეწამვლის შედეგად რამდენი ხნის შემდეგ შეიძლება მცენარის საკვებად გამოყენება.

* * *

სურათზე: უფროს მეცნიერ თანამშრომელს გ. წილოსანს შეჰყავს მცენარეში რადიაქტიური ბაქტერიები. მარჯვნივ ლაბორანტი ე. ჯიღაურია.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ქართველი საზოგადოებრიობის უფროსი ნერეების სავსებით ბუნებრივი ინტერესი გამოიწვია ჩვენი პრესის ფურცლებზე („კომუნისტი“, „ვეჩერნი ტბილისი“, „საბჭოთა ხელოვნება“) გამოქვეყნებულმა მასალებმა შოთა რუსთაველის ცხოვრების უკანასკნელი წლების შესახებ, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულია იერუსალიმის ჯვარის ქართველთა მონასტერთან. „კომუნისტის“ მკითხველისათვის ასევე საინტერესო იქნება ცნობა იმის შესახებ, რომ იერუსალიმში მიემგზავრება ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი, რომელშიც შედიან: საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი ირაკლი აბაშიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი) გამოჩენილი ქართველი მეცნიერები — აკადემიკოსები გიორგი წერეთელი და აკაკი შანიძე.

იერუსალიმის ქვათა ღაღადი...

რუსთაველის ნაკვალევზე

ჩვენი ინტერვიუ

იერუსალიმში გამგზავრების წინ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში ირაკლი აბაშიძემ განაცხადა:

— შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ქართული კულტურის მოფწვდომი მწვერვალია, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი დიდი შემოქმედის შოთა რუსთაველის ბიოგრაფია, მისი ცხოვრება საიდუმლოების ბურუსით არის მოსილი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს რუსთაველის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლების, არა მარტო ქართველი საზოგადოებრიობის, არამედ მსოფლიოში მილიონობით სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა ინტერესს ამ საკითხისადმი.

ამ ინტერესის განსაკუთრებული გაცხოველება ამ ბოლო დროს გამოიწვია უკრაინელი მწერლის გრ. პლოტკინის ისრაელში მოგზაურობის წიგნმა და საკდესის პალესტინელი კორესპონდენტის ს. ლოსევის წერილმა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის შესახებ. ეს ავტორები იერუსალიმიდან იტყობინებოდნენ, რომ მათ ჯვარის მონასტერში ბერძენმა ბერმა უჩვენა შოთა რუსთაველის საფლავი.

აღნიშნულ ცნობას ქართულ სამეცნიერო წრეებში, როგორც ეს „კომუნისტისა“ და „ვეჩერნი ტბილისის“ მკითხველს მოეხსენება, სხვადასხვანაირად შეხვდნენ; ერთნი ეჭვმუნენ მას და აყენებდნენ საკითხს პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელადაც კი, ხოლო მეორენი ამ ცნობას სთვლიდნენ და სთვლიან ლეგენდად.

ლეგენდა იმის შესახებ, რომ შოთა რუსთაველი იერუსალიმს წვიდა, საქართველოში, როგორც ვიცით, დიდი ხანია ცნობილია. მეტად საყურადღებოა, რომ ეს ლეგენდა პალესტინაშიც არსებულა, მაგრამ ისტორიული წყაროები როდი გვიდასტურებენ, რომ გენოსი პოეტი ნამდვილად იერუსალიმში გარდაიცვალა და სწორედ იქვეა დასაფლავებული. როგორც დღეს მეცნიერებმა იცის, ჯვარის მონასტრის აღაპებში, ე. ი. მონასტრის იმდროინდელ დოკუმენტებში, რომლებიც ნიკო მარმა აღმოაჩინა და აღწერა, მართლაც არის ნახსენები შოთა, მაგრამ შოთა მეჭურჭლეთუხუცესი (იქნებ მართლაც პოეტი შოთა რუსთაველი), თამარის მინისტრი. ხოლო შემდეგ მეთვრამეტე საუკუნემდე, ჯვარის მონასტერთან შოთა რუსთაველის კავშირის შესახებ არავითარი ცნობა აღარ მოგვეპოვება.

მეთვრამეტე საუკუნეში თვალსაჩინო ხახულელი პირისა და მოღვაწის ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლაში“, სადაც აღწერილია იერუსალიმის ჯვარის მონასტერი, ნათქვამია: „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატავნია მოქმელსა ლექსთა ბოროტთასა, რომელმან სმენა ქართველთა სიწმინდისა წილ ბილწება და გარყვნა ქრისტიანობა“ და ქვემოთ მრავალი წყაველის შემდეგ: „შოთას ვიტყვი რუსთაველსა, მეჭურჭლეთუხუცესს. თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“ (გაბაშვილს სწამს, რომ შოთა მეჭურჭლეთუხუცესი იგივე პოეტი შოთა რუსთაველია). ახე წერს ხახულელი პირი, რომლის შეზღუდულ მსოფლგაგებას ჰუმანისტი რუსთაველი მკრეხლად წარმოუდგება.

მეცნიერებამაც იცის, რომ შოთა რუსთაველის სურათი ნამდვილად იყო, მაგრამ იგი მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს წაწლილია, გადალესილი. ამ დროს მოგზაურიც — დეკანოზი პეტრე დავითის ძე კონეშოვლიც წერს თავის წიგნში „მოგზაურობა“: „გულით ვეძებე შოთა რუსთაველის სურათი და ძლივს შევნიშნე მარჯვენა მხარეს სვეტზედა, რადგანაც წაბღალულია ზედ წარწერა მას ზედა“. შემდეგ ხომ მეოცე საუკუნის პირველ წლებში ჩვენი გამოჩენილი მეცნიერებიც იყვნენ იერუსალიმში და იმათაც დაახლოებით ამავე მდგომარეობაში ნახეს ჯვარის მონასტრის მხატვრობა.

შოთას სურათი ნამდვილად ეხატა ჯვარის მონასტრის კედელზე, მაგრამ ნიშნავს კი ეს იმას, რომ პოეტის ნეშტიც იქვეა დაკრძალული? და არსებობს კი რაიმე დოკუმენტი ამის შესახებ იქ, ჯვარის მონასტერში?

ამას წინათ მოსკოვში, — განაგრძობს ირაკლი აბაშიძე, — ეი რინატოვიჩ ბარდილის საგანგებო ექსპედიციის ეოფილი ბაეხისმგებელი, მეცნიერ-ენციკლოპედისტი, რომელმაც ეძიებდა ადგილი, სადაც ... ლა ... ...